ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

## ბუსა ქვანიას პატიმრობა შეეფარდა




გვ.5

ადვოკატმა ირმა ჭკადუამ სასამართლოს 50.000-იანი გირაო შესთავაზა

ოთხშაბათი, 5 აგვისტო, 2020 №165 (8429) ფასი: 60 თეთრი

# „ის დღე დავწყევლე, როცა კობახიძის ზარს ვუპასუხე“




გვ.3

რას ნანობს „ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატი







## ლადო სადღობელაშვილი: „გიორგი ვაშაძე ვანო ჩხარტიშვილის პროექტია“



გვ.2

## ირმა ნადირაშვილი: „ანა დოლიძის განცხადება ფარისევლობა და პოპულიზმია“

„ელისაშვილმა ივანიშვილის წისქვილზე დაასხა წყალი“

## „ახლანდელი საარჩევნო მოდელი სამართლიანი არჩევნების ჩატარების გარანტიას არ იძლევა“



გვ.4

## ლაშა ჩხარტიშვილი: „ჩვენი მიზანია, დავამარცხოთ ივანიშვილი და დავამარცხოთ ბოლშევიკური მმართველობა!“



გვ.3



## ალეკო ელისაშვილი საბურთალოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი იქნება

გვ.4




გვ.2

## თბილისის ცენტრალური საავადმყოფოს დირექტორი და ამავე კლინიკის ექიმი დააკავეს

## შს მინისტრმა თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დანაყოფების ხელმძღვანელებთან სამუშაო თათბირი გამართა



გვ.5

ISSN 1987-9385

4 ნინო ბურჯანაძე: „სააკაშვილს ჰგონია, რომ ნახევარი საქართველო ელოდება“

2 ვანო მერაბიშვილი პატრიარქს შეხვდა

5 თეონა თამაზაშვილი: „მოვითხოვთ, გფბ გამოძიებაში ჩაერთოს!“
შსს გფბ-ს ჩართვაზე თანხმობას აცხადებს

6 ჩრდილოეთ კორეა ბირთვული იარაღის პროგრამას აგრძელებს

# ირმა ნადირაშვილი: „ანა დოლიძის განცხადება ფარისევლობა და პოპულიზმია“

## „ელისაშვილმა ივანიშვილის წისქვილზე დაასხა წყალი“

იაგო ნაცვლიშვილი

**„ევროპულმა საქართველომ“ მაჟორიტარობის კანდიდატები დაასახელა. მან მაჟორიტარებად დაასახელა თითქმის ყველა ლიდერი, მათ შორის გიგა ბოკერია და გიგი უგულავა. მაჟორიტარად არ დაუსახელებია მხოლოდ სიის პირველი ნომერი დავით ბაქრაძე.**

რატომ მიიღეს ასეთი გადაწყვეტილება, ასეთ დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ მაჟორიტარულ არჩევნებს, რა პასუხი აქვს ანა დოლიძის განცხადებაზე და რას ფიქრობს მიხეილ სააკაშვილისა და ვანო მერაბიშვილის განცხადებებზე? – ამ და სხვა აქტუალურ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში „ევროპული საქართველოს“ ერთ-ერთი ლიდერი და მაჟორიტარობის კანდიდატი **ირმა ნადირაშვილი** საუბრობს.



***– რატომ გადაწყვიტეთ, რომ ასე ფართოდ გაგეშალათ მაჟორიტარული ფლანგი? ამდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებთ მაჟორიტარებს და ხომ არ შეუშლის ეს ხელს იმას, რომ პროპორციულის მიმართულებით უფრო აქტიურად იმუშაოთ?***

– საერთოდ, არჩევნები, რომელიც ქვეყნის ბედს ცვლის, ძალიან მნიშვნელოვანია. ყველა არჩევნები მნიშვნელოვანია და განსაკუთრებით ის არჩევნები, რომელიც ოქტომბერშია დაგეგმილი, იმიტომ, რომ ყოველთვის არჩევნებით წყდება, ვინ მართავს ქვეყანას. ამიტომ ის, რომ „ევროპული საქართველოს“ ყველა ლიდერი მიდის და რაიონებში იბრძოლებს რაც შეიძლება მეტი ხმების ასაღებად, მე ვფიქრობ, სწორი ტაქტიკაა.

მაჟორიტარული არჩევნების მოსაგებად ბრძოლა არ ნიშნავს, რომ ამავე დროს არ იბრძვი პროპორციული სიის რაც შეიძლება უფრო წინ წაწევისთვის. პირიქით, როგორც წესი, თუკი რაიმე განსაკუთრებული გამონაკლისი არ არის, მაჟორიტარობის კანდიდატი ხელს უწყობს პროპორციული სიის წაწევასაც, ამიტომ, მგონი, ეს ლოგიკური საქმეა ივანიშვილის ჩამოსაცილებლად. ამისათვის ყველა ოპოზიციურმა პარტიამ ყველაფერი უნდა გააკეთოს.

***– ამოიწურა ის რესურსი, რომლითაც მიმართეთ რამდენიმე დღის წინ ოპოზიციას და მიეცით დრო, რომ საერთო კანდიდატები დაგესახელებინათ. მათ ვერ გამოიყენეს ეს რესურსი და ამიტომ დაასახელეთ კანდიდატები?***

– ნაციონალურმა მოძრაობამ აირჩია ტაქტიკა, რომ ყველგან ჰყავდეთ კანდიდატები. ჩვენ ვთვლით, რომ საერთო კანდიდატების დასახელება უფრო აადვილებდა ბიძინა ივანიშვილის დამარცხებას, მაგრამ ივანიშვილს ასეც მოუწევს ხელისუფლებიდან წასვლა.

თქვენ, ალბათ, შეამჩნიეთ, რომ ყველა ოლქში არ დაგვისახელებია მაჟორიტარობის კანდიდატები. არის ოლქები დარჩენილი, სადაც ოპოზიციის სხვადასხვა ჯგუფთან ამ წუთებშიც მიმდინარეობს საუბარი. ვნახოთ, როგორი იქნება, ჯერჯერობით დარჩენილია სივრცე, რომ ზოგიერთ ოლქში არსებობდნენ საერთო კანდიდატები.

***– გიგა ბოკერია და გიგი უგულავა მაჟორიტარული არჩევნების დროს მაინც ოლქებთან იქნებიან დაკავშირებული და ეს ხელს ხომ არ შეუშლის მთლიანად ქვეყნის მასშტაბით კამპანიის გაშლას?***

– რა თქმა უნდა, ასეთი საფრთხე არსებობს, რომ ისეთი დოზით ვერ მოახერხონ კამპანიის წარმოება, მაგრამ მათი გრაფიკი გაწერილია ისე, რომ შესაძლებელია, იყოს შეთანხმება. რა თქმა უნდა, უმეტეს როლს საკუთარი საარჩევნო კამპანიის დროს ისინი დაუთმობენ ისეთ სამაჟორიტარო ოლქებს, სადაც წარმოდგენილი არიან, მაგრამ ეს არ გამორიცხავს იმას, რომ უგულავა იხილოთ საქართველოს ნებისმიერ რეგიონში და ასეც იქნება. უბრალოდ, ეს ფიზიკურად კიდევ უფრო მძიმეა, მაგრამ, შევეცდებით, ამ პრობლემას მოვერიოთ.

***– ანა დოლიძემ გააკეთა განცხადება, იმედი მაქვს, ოპოზიცია არ დამიყენებს კანდიდატსო. რა პასუხი გექნებათ ამაზე?***

– ანა დოლიძე და ალეკო ელისაშვილი ამბობდნენ, რომ ისინი არ მონაწილეობდნენ ერთიანი კანდიდატების შესახებ შეთანხმებაში. გამოიყენეს ყველა ცუდი სიტყვა, რომლებიც კი იცოდნენ და ასე დაახასიათეს ეს პროცესი.

რაც შეეხება ანა დოლიძის მოლოდინებს, ძალიან უხერხულია ასეთი საუბარი, რომ მას იმედი აქვს, რომ ოპოზიცია კანდიდატურას არ დაუყენებს, ანუ მათთვის შეთანხმების აქტი რა არის? – მე არ შეგითანხმდები, მაგრამ შენ კანდიდატურა არ დამიყენოო?! ეს არის ჩვეულებრივი პოპულიზმი განცხადებებით გავლენების მოსახდენად.

რა თქმა უნდა, სერიოზულად არ შეიძლება ანა დოლიძის სურვილების განხილვა. თუ მათ უნდოდათ მონაწილეობა საერთო მაჟორიტარებთან შეთანხმებაში, ამ პროცესში უნდა ჩართულიყვნენ და არა ისე, რომ ანა დოლიძემ კანდიდატურა დააყენოს და მერე იმედები გამოთქვას, რომ კანდიდატურას არავინ დაუყენებს.

ამ პროცესში ელისაშვილმა ძალიან ცუდი როლი შეასრულა. მან, პრაქტიკულად, ივანიშვილის წისქვილზე დაასხა წყალი. ეს მათი საქმეა და მათი გადასაწყვეტია. ამომრჩეველი მიიღებს გადაწყვეტილებას მასთან დაკავშირებით, ისევე, როგორც ყველა სხვა პარტიის მხარდაჭერასთან დაკავშირებით, მაგრამ, რა თქმა უნდა, ანა დოლიძის მხრიდან ასეთი განცხადებების გაკეთება ფარისევლობა და ორმაგი სტანდარტებია.





***– ივანიშვილის წისქვილზე წყლის დასხმა ახსენეთ და სააკაშვილისა და მერაბიშვილის განცხადებებიც აქეთკენ ხომ არ არის მიმართული, როცა მერაბიშვილი მანდატებით ვაჭრობაზე საუბრობს, ხოლო სააკაშვილი ამბობს, რომ ნაციონალურმა მოძრაობამ ერთპიროვნული გამარჯვება უნდა მოიპოვოს?***

– იმის უარყოფა, რომ ნაციონალური მოძრაობა უმსხვილესი ოპოზიციური ძალაა, რა თქმა უნდა, სიბრიყვე იქნება, მაგრამ, ჩვენ გვაქვს სისტემა, რომელიც ბრძოლით მოვიპოვეთ. ეს არის სისტემა, რომელიც მაქსიმალურად არის მიახლოებული პროპორციულთან. სწორედ ეს სისტემა გამორიცხავდა იმას, რომ ვინმემ ერთპიროვნული უპირატესობა მოიპოვოს. ამისთვის ვიბრძოლეთ მთელმა ოპოზიციამ და მათ შორის „ევროპულმა საქართველომ“. იცით, რომ ამ გამარჯვების მოპოვებას ადამიანების ჯანმრთელობა და მხედველობა შეეწირა.

საერთოდ, საზოგადოების დაკვეთაა ქვეყნის კოალიციური მართვა. მე ვფიქრობ, ამ დაკვეთას ყველამ უნდა გაუწიოს ანგარიში. „ევროპული საქართველო“ მონდომებულია და ყველაფერი უნდა გავაკეთოთ იმისთვის, რომ პარლამენტში გვქონდეს ისეთი პაკეტი, რომელიც გამორიცხავს, ერთი რომელიმე ჯგუფი საკონსტიტუციო უმრავლესობით თავზე დააჯდეს ქვეყანას, როგორც ხდებოდა წარსულში ან ხდება აწმყოში კიდევ უფრო უარესი ფორმებით ივანიშვილის შემთხვევაში. საზოგადოების დაკვეთაა, ერთპიროვნულად რომელიმე გუნდმა კი არ გაიმარჯვოს, არამედ ქვეყნის კოალიციური მართვა იყოს.

რაც შეეხება სკამებითა და მანდატებით ვაჭრობას, არჩევნები ნიშნავს იმას, რომ მოქალაქეები იღებენ გადაწყვეტილებას, ვინ როგორი დოზით იყოს ხელისუფლებაში ან ოპოზიციაში. ვერავითარი ვაჭრობა ვერ გაიმართება ვერაფერზე, იმიტომ, რომ ძალაუფლების წყარო ხალხია და ხალხი იღებს გადაწყვეტილებას, ვინ მართოს ქვეყანა და ვინ იყოს ოპოზიციაში. ამიტომ არც მესმის, რა ტიპის ვაჭრობაზეა საუბარი.

***– პრემიერმინისტრობის კანდიდატად ვის განიხილავთ „ევროპულ საქართველოში“, თუ გქონიათ ამაზე მსჯელობა?***

– თქვენ თვითონ დამასწარით პასუხი. ამაზე მსჯელობა არ გვქონია.

# თბილისის ცენტრალური საავადმყოფოს დირექტორი და ამავე კლინიკის ექიმი დააკავეს

თბილისის პროკურატურის საგამოძიებო სამმართველოს თანამშრომლებმა, სამსახურებრივი გულგრილობის, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით თაღლითობისა და უკანონო საექიმო საქმიანობის ფაქტზე, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, თბილისის ცენტრალური საავადმყოფოს დირექტორი გ.ლ. და ამავე კლინიკის ექიმი ვ.ყ. დააკავეს, ხოლო უკანონო საექიმო საქმიანობის ფაქტზე მ.ხ.-ს მიმართ დაუსწრებლად იქნა გამოტანილი დადგენილება ბრალდებულად პასუხისგებაში მიცემის შესახებ.

პროკურატურის ინფორმაციით, საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2018 წლის ზაფხულში მოქალაქე ნ.ც.-მ შესაბამისი სამედიცინო მომსახურების მიღების მიზნით, კლინიკა – შპს „თბილისის ცენტრალურ საავადმყოფოს“ მიმართა, სადაც მას კონსულტაცია ექიმმა ვ.ყ.-მ გაუწია.

„პაციენტი ნ.ც. და მისი ოჯახის წევრები დაარწმუნა, რომ პაციენტისათვის ჩატარებული გამოკვლევის შედეგები იტალიაში გადააგზავნეს და მათი რეკომენდაციით უნდა ჩატარებულიყო ქირურგიული ოპერაცია, რომელსაც ასევე იტალიიდან მოწვეული ექიმები გააკეთებდნენ. თუმცა, აღნიშნული ოპერაცია, შპს „თბილისის ცენტრალურ საავადმყოფოში“ 2018 წლის 18 სექტემბერს ექიმმა ვ.ყ.-მ თავად გაუკეთა პაციენტს ისე, რომ მას არ გააჩნდა დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის დამადასტურებელი სახელმწიფო სერტიფიკატი სპეციალობით „ორთოპედია-ტრავმატოლოგია“, ასევე მან ოპერაციაზე დაიხმარა მ.ხ., რომელსაც ასევე არ გააჩნდა სახელმწიფო და/ან დროებითი სერტიფიკატი არც ერთ სპეციალობაში და იგი საავადმყოფოში ხელშეკრულების საფუძველზე კონსულტანტის თანამდებობაზე მუშაობდა.






გამოძიებით ასევე დადგენილია, რომ ოპერაციის შემდეგ ნ.ც.-ს ტკივილები განუახლდა, რის გამოც პაციენტმა აღნიშნულ საავადმყოფოს ისევ მიმართა. ვ.ყ-მ დაიყოლია პაციენტი და მისი ოჯახის წევრები განმეორებითი ოპერაციის ჩატარებაზე იმ არგუმენტით, რომ ეს იტალიელი სპეციალისტების რეკომენდაცია იყო და რომ ოპერაციას იტალიიდან მოწვეული ექიმები თავად ჩაატარებდნენ. ნ.ც.-ს განმეორებითი ოპერაცია 2018 წლის 10 დეკემბერს გაუკეთდა და ისევე, როგორც პირველი ოპერაცია, იტალიელი სპეციალისტების ნაცვლად შესაბამისი ლიცენზიის არმქონე ვ.ყ.-მ და მ.ხ-მ ჩაატარეს. ექიმების მიერ გამოვლენილი უყურადღებობისა და დაშვებული შეცდომების გამო პაციენტის მდგომარეობა გართულდა და იგი დღემდე კომატოზურ მდგომარეობაში იმყოფება.

გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ პაციენტისთვის ჩატარებული ორივე ოპერაციის დროს კლინიკას გ.ლ. ხელმძღვანელობდა, რომელმაც ჯეროვნად არ შეასრულა თავისი სამსახურებრივი მოვალეობა, ნ.ც.-ს მიმართ დაგეგმილ ოპერაციას, მის მიმდინარეობას, ექიმების შესაბამისი ლიცენზიის არსებობის კონტროლის საკითხს, ასევე პაციენტის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას მოეკიდა დაუდევრად.

ვ.ყ.-ს ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ და მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით, 246-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად ექვსიდან ცხრა წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გ.ლ.-ს ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 2201-ე მუხლის მეორე ნაწილით წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად ორიდან ხუთ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

რაც შეეხება მ.ხ.-ს, იმის გათვალისწინებით, რომ მან საქართველოს ტერიტორია დატოვა და უარს აცხადებს საგამოძიებო ორგანოში გამოცხადებაზე, მის მიმართ დაუსწრებლად იქნა გამოტანილი დადგენილება სისხლის სამართლის კოდექსის 246-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რაც სასჯელის სახედ და ზომად სამ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

საქართველოს პროკურატურა სამივე ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახედ პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობით თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართავს“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

# ვანო მერაბიშვილი პატრიარქს შეხვდა

## „ციხეში გატარებულ პერიოდზე ვისაუბრეთ“

ვანო მერაბიშვილი სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორეს შეხვდა.

ამის შესახებ ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა სოციალურ ქსელში დაწერა.

„დღეს სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, ილია მეორეს შევხვდი და ციხეში გატარებულ პერიოდზე ვისაუბრეთ. უწმინდესმა ჯანმრთელობა და გამძლეობა მისურვა“, – დაწერა ვანო მერაბიშვილმა სოციალურ ქსელში.



ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი: 599-532-690
ვებგვერდი: www. akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ის დღე დავწყევლე, როცა კობახიძის ზარს ვუპასუხე“

ნონა ცაბაძე

## რას ნანობს „ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატი

**„ახალი თაობის“ კითხვებს ქვეყანაში მიმდინარე პროცესების შესახებ ლადო სადღობელაშვილი პასუხობს.**

***– ლადო, რა ხდება ოპოზიციურ ფლანგზე, „ევროპული საქართველო“ ხელისუფლებას უგორებს კოჭებს?***

– საზოგადოება, რომელიც უყურებს და ანალიზს აკეთებს ამ ყველაფრისას, უკვე ძალიან კარგად ხედავს, თუ რა არის ოპოზიცია. მე მაქვს ძალიან დიდი ეჭვი იმისა, რომ თვით სააკაშვილიც კი თამაშობს ივანიშვილის თამაშს.

***– რას გულისხმობთ?***

– არავის წარმოედგინა, რომ გიორგი ვაშაძე გამოეყოფოდა გაერთიანებულ ოპოზიციას. ჯერ კიდევ 2017 წელს ვამბობდი, რომ ვაშაძე არის ვანო ჩხარტიშვილის პროექტი. ეს ჩვეულებრივი თამაშია. საიდან გაუჩნდა ვაშაძეს ფული იმისთვის, რომ ყველგან ოფისები გახსნას, დამოუკიდებლად აწარმოოს ამხელა საარჩევნო კამპანია?

ამას დიდი ფული სჭირდება. ეს ფული ციდან არ ცვივა. ამ ფულს ვიღაცა უნდა გაძლევდეს. თუ ჩვენ ვსაუბრობთ იმაზე, რომ შეიძლება, სააკაშვილს მიეცა, ყველამ ვნახეთ, რომ მიშამ ისეთი დაახურა ვაშაძეს, პრაქტიკულად, მოცელა ოპოზიციიდან, პირდაპირ უთხრა, შეკრული ხარ ბიძინასთანო. რა, მანამდე არ იცოდა სააკაშვილმა, რომ შეკრული იყო ჩხარტიშვილთან?!

***– თავიდანვე ასე იყო?***

– ჩხარტიშვილი თავიდან არ ყოფილა ბიძინასთან დაახლოებული პირი. როგორც მე ვიცი, მათ 2017 წლის მერე აეწყოთ ასე კარგად ურთიერთობა. მანამდე ჩხარტიშვილი პირდაპირ აფინანსებდა ოპოზიციას ვაშაძის სახით და ეს ძალიან კარგად იცოდა სააკაშვილმაც. არა მარტო სააკაშვილმა, ეს იცოდა მთელმა ოპოზიციურმა სპექტრმა. მაშინ ამაზე ხმამაღლა არავინ საუბრობდა. დღეს, როდესაც დალაგებული არიან ჩხარტიშვილი და ივანიშვილი, ჩხარტიშვილს აღარ აინტერესებს ვაშაძე, როგორც ოპოზიციონერი. მას უნდა, რომ ვაშაძე გამოიყენოს.

***– გამოყენებაში რას გულისხმობთ?***

– ითამაშებს ხელისუფლების თამაშს, საქმეს გაუფუჭებს ოპოზიციას. ერთი მხრივ, „ოცნების“ წისქვილზე დაასხამს წყალს და, მეორე მხრივ, თავისსასაც გაინაღდებს. დარწმუნებული ვარ, 2-3%-ს აუცილებლად აიღებს გიორგი ვაშაძე, თუნდაც იმიტომ, რომ ფული აქვს. ჩხარტიშვილისთვის არაფერია 3 მილიონი დოლარი, სამაგიეროდ, 3 მილიონი 3%-ია. ეს კი პარლამენტში 3 კონტროლირებადი დეპუტატია.

***– ანუ ბიძინა ივანიშვილი ახერხებს, რომ ოპოზიციაშიც სათავისოდ დაალაგოს სიტუაცია?***

– ბიძინა ივანიშვილს სიტუაცია თავიდანვე ჰქონდა დალაგებული. აქ საუბარი იყო იმაზე, რომ შეთანხმება უნდა მომხდარიყო თანხობრივად და ეს თანხობრივი შეთანხმებაც შედგა. ჩვეულებრივი ვაჭრობა იყო გაჩაღებული. უკვე წლებია, რაც პარლამენტი ქცეულია ჩვეულებრივ ბაზრობად, სავაჭრო დახლად არის ქცეული. გაქვს ფული? ხვდები პარლამენტში!

ბიძინა ივანიშვილმა ჯერ კიდევ როდის მოახერხა და გახლიჩა ნაციონალური მოძრაობა. მან თავდაპირველად გირჩი დააფინანსა. ივანიშვილი გირჩს აკონტროლებს, აქეთ გიორგი ვაშაძეს აკონტროლებს ჩხარტიშვილის საშუალებით. მე მაქვს ზუსტი ინფორმაცია, რომ ეს ადამიანი ასევე აკონტროლებს ბოკერიას პარტიის დიდ ნაწილს. ოპოზიციის დიდი ნაწილი კონტროლირებადია. თვითონ სააკაშვილიც კი ბიძინას თამაშს თამაშობს. ის არის მისი საპირწონე ძალა და ეს აცოცხლებს „ოცნებას“ ყოველთვის. ეს არის ის გარიგება, რომელიც ამ ორ პიროვნებას შორის შეიძლება, ადამიანმა იხილოს. თუ არ იქნება სააკაშვილი, არ იქნება ბიძინა ივანიშვილი, როგორც პოლიტიკოსი.

***– მაშინ რა გამოდის, რომ ოპოზიცია არ გეგმავს ხელისუფლების შეცვლას და მხოლოდ პირველი ოპოზიციური პარტიის სტატუსისთვის იბრძვის?***

– პირველი ოპოზიციური ძალის სტატუსისთვის იბრძვის მხოლოდ ნაციონალური მოძრაობა, დანარჩენები ტივტივებენ.

***– რას იტყვით ვანო მერაბიშვილის განცხადებაზე, რომ ოპოზიცია გამალებული ვაჭრობს მანდატებისა და სკამებისთვის?***

– ამას ყველა ხედავს, რად უნდა ამას ვანოს თქმა. ვანო მერაბიშვილის იდეა იყო, ოპოზიციის გაერთიანება მოეხდინა. მას უნდოდა, ის ნაციონალური მოძრაობა დაებრუნებინა, რომელიც 2013 წელს იყო, როდესაც ის დაიჭირეს. თუმცა ვანომ ეს ვერ შეძლო, მიხვდა, რომ სანამ ციხეში იჯდა, გარეთ ყველაფერი შეიცვალა. რადგან ვერ შეძლო გაერთიანება, სწორედ ამიტომ გააკეთა ასეთი ტიპის განცხადებები. მერაბიშვილმა კიდევ ერთი საინტერესო განცხადება გააკეთა – მე არ მაინტერესებს არც პარლამენტარობა და არც მთავრობაში მინდა თანამდებობაო.

***– დიახ, მან უარი თქვა...***

– ეს ტყუილია! თქვენი გაზეთის საშუალებით ვეუბნები საზოგადოებას, რომ ეს არის ჩვეულებრივი პიარსვლა! ნაცებმაც, ბოკერიებმაც, გირჩებმაც, ციყვებმაც – ყველამ ძალიან კარგად იცის, რომ ბოლო ორი თვის განმავლობაში „ქართული ოცნება“ ჩართავს შავ პიარს, სადაც ყველა ის ოდიოზური ფიგურა – ვანო მერაბიშვილი, ბოკერია, სააკაშვილი – გარდაიქმნებიან დასარტყმელ ობიექტებად. თუკი ეს ადამიანები მოთავსდებიან სიის მოწინავე რიგებში, მთელი წნეხი მათზე გადაივლის და მათი პარტია დაკნინდება.

***– ანუ ვანოს რა უნდა, რომ უხმაუროდ, რიგით დეპუტატად შევიდეს პარლამენტში?***

– რა თქმა უნდა! ის არ გამოიჩენს თავს, ზედმეტად საბაბს არ მისცემს „ქართულ ოცნებას“. ამ ადამიანმა, უბრალოდ, თავისი თავი გადამალა. ვანო მერაბიშვილი იყო ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლების ხერხემალი და დღესაც ასეა. თვალს ვერ უსწორებს ვერავინ. მისი რეიტინგი უარყოფითია და სწორედ ამიტომ აკეთებს ასეთ განცხადებებს.

აქ საინტერესო ის არის, ბოკერია რატომ მოიქცა ასე, რატომ დააყენა ფოთში საკუთარი კანდიდატურა.

***– რას ნიშნავს მისი ეს სვლა? რატომ წავიდნენ ბოკერია და უგულავა სამეგრელოში?***

– სამეგრელოში წავიდნენ იმიტომ, რომ კოჭი გაუგორეს „ოცნებას“. ბოკერია და უგულავა არიან პარტიის ლიდერები. ბოკერია უარყოფითი რეიტინგის მატარებელია, უგულავა, ასე თუ ისე, გაწონასწორებული ადამიანია. ფოთში ბოკერიას დაყენება ნიშნავს იმას, რომ ფოთი არის „ქართული ოცნების“. არადა, ფოთში წკიპზე იყო „ქართული ოცნება“. იქ რომ ნაციონალურ მოძრაობასა და გაერთიანებულ ოპოზიციას დაეყენებინათ კანდიდატურა, ძალიან მარტივად შეძლებდნენ ხელისუფლების დამარცხებას, ისეა სიტუაცია აჭრილი, თუმცა კანდიდატურას აყენებს ბოკერია, ყველაზე უარყოფითი ადამიანი ქართულ პოლიტიკასა და ოპოზიციურ სპექტრში. ბოკერიამ თავისი კანდიდატურა დააყენა იქ, სადაც ყველაზე ნაკლები შანსი ჰქონდა „ქართულ ოცნებას“.

***– ანუ მთლიანად ხელისუფლების თამაშს თამაშობენ?***

– კი, ასეა. აი, უგულავა არ არის ისეთი უარყოფითი ფიგურა, როგორიც ბოკერია. ის უფრო ნეიტრალური ნაცია. ის ზუგდიდში ნაციონალების ხმებს წაიღებს, ხოლო ბოკერია ფოთში ვერაფერს იზამს. ასე თუ ისე, მაინც მოხდა შეთანხმება ოპოზიციაში, სამეგრელო კი წაიღეს ევრონაცებმა, მაგრამ აჭარა მთლიანად ნაცებს დაუთმეს.

მეორე მხრივ, ვხედავთ, როგორ გაააქტიურეს სააკაშვილი. მას არავინ ახშობს, პირიქით, ეს ძალიან აწყობს „ქართულ ოცნებას“. ეს ორი ძალა ერთი ჯოხის ორი ბოლოა. ცდილობენ, კვლავ ბუა შექმნან სააკაშვილისგან.



### ლადო სადღობელაშვილი: „გიორგი ვაშაძე ვანო ჩხარტიშვილის პროექტია“



***– „ქართულ ოცნებაში“ რა ხდება?***

– მე როგორც ვიცი, „ქართულ ოცნებაში“ აქტიურად წამოვიდა უარყოფითი ტალღები. ეს ყველაფერი მალე გამოხეთქავს. ჯერჯერობით ელოდებიან სიებს, ბევრს აქვს იმედი, რომ ისევ მოხვდება საარჩევნო სიაში, თუმცა ასე არ იქნება! ძალიან ბევრი ადამიანი აღმოჩნდება ჩარეცხილი. „ქართული ოცნების“ საკადრო პოლიტიკა იყო ნული. არავის ჰქონია ასეთი ცუდი საკადრო პოლიტიკა, როგორიც ჰქონდა „ქართულ ოცნებას“! მათ ვერც ერთი კადრი ვერ გაზარდეს. ასეთს ვერ დამისახელებთ. ისევ ნაციონალური მოძრაობის გაზრდილი კადრები ჰყავთ, ზოგიც – შევარდნაძის დროინდელი. მათი კადრი არ არსებობს. იდეოლოგიური კადრი არ არსებობს.

***– ლადო, რამდენად დალაგდნენ გახარია და კალაძე ივანიშვილთან?***

– ჩვენ ვხედავთ, რომ კალაძემ თბილისის მასშტაბით გამარჯვება მოიპოვა. აქ საინტერესო არის ის სვლა, რომელიც კალაძემ ჭავჭავაძის გამზირთან დაკავშირებით გააკეთა. ეს პარტიის შიგნითვე შესაძლოა გამოიყენონ მის წინააღმდეგ და მოსახლეობას მიაწოდონ, როგორც ღალატი კალაძის მხრიდან.

შიგნით სერიოზული დაპირისპირებაა. ჯერ სიები არ არის და მიმდინარეობს ერთმანეთის გაშავება. რეგიონულ მასშტაბში

გაგრძელება მე-4 გვერდზე

# ლაშა ჩხარტიშვილი: „ჩვენი მიზანია, დავამარცხოთ ივანიშვილი და დავამარცხოთ ბოლშევიკური მმართველობა!“

## „ერთპიროვნული ძალაუფლების ხელში ჩაგდება არავის გამოუვა და ამის დაზღვევა ამომრჩეველია. არჩევანი არ არის ივანიშვილსა და სააკაშვილს შორის. არჩევანი ბევრად უფრო ფართო და მრავალფეროვანია“

ნათია ხურცილავა

**„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.**

***– ლაშა, რას იტყვით ოპოზიციურ ფლანგზე მიმდინარე პროცესებზე? ასეთი ფრაგმენტაცია რეგიონებში, ასევე თბილისში არსებული შეთანხმებაც, არ არის გამორიცხული, კითხვის ქვეშ დადგეს. რამდენად მოუტანს ოპოზიციას წარმატებას არჩევნებზე?***

– თუ არ ჩავთვლით ზოგიერთ ზედმეტად მკვახე გამონათქვამს, თუმცა ესეც კონკურენციის ნაწილია, ამაში პრობლემას ვერ ვხედავ. ჩვენი მიზანი ხომ ის არის, რომ ივანიშვილი დავამარცხოთ, მაგრამ არ მივიღოთ ახალი მონსტრი! ვინც არ უნდა იყოს, ჩემი პოლიტიკური პარტიაც რომ იყოს, ქვეყანაში ერთპარტიული მმართველობა არ უნდა დავუშვათ. ბოლშევიზმი უნდა დამთავრდეს ერთხელ და სამუდამოდ ამ ქვეყანაში. ჩვენ ამისთვის ვიბრძვით.

***– თავის დროზე ე.წ. შუის გაკრეფაზე ბევრი ითქვა. ახლა პირიქით არის?***

– ჩვენი მიზანია, დავამარცხოთ ივანიშვილი და დავამარცხოთ ბოლშევიკური მმართველობა. უნდა მოვახერხოთ, რომ ამ არჩევნებზე ორივე ამოცანა შევასრულოთ, თუ გვინდა, ჩვენი ქვეყანა წინ წავიდეს. ფორმალური ცვლილებით არაფერი გამოვა. ძალიან კარგია, რომ მრავალი პარტია დამოუკიდებლად მონაწილეობს არჩევნებში. ეს იძლევა უნიკალურ შანსს, არ მივიღოთ



ახალი ივანიშვილი, ახალი სააკაშვილი.

მთავარი ამოცანაა, არც ერთ პარტიას არ ჰქონდეს მეორეზე ბევრად მეტი წარმომადგენლობა პარლამენტში. ეს არანაკლებ მნიშვნელოვანია, ვიდრე ივანიშვილის რეჟიმის დამარცხება, რომ იმავე წრეზე არ წავიდეთ. მრავალფეროვანი, პროპორციული პარლამენტი უნდა მივიღოთ, რომ ჩვენი ყველა მოქალაქის ხმა ისმოდეს პარლამენტში. ამით მოხდება ერთმანეთის შეკავებაც და დაბალანსებაც. ხალხს აშინებენ, ამ შემთხვევაში პოლიტიკოსები ერთმანეთს შეჭამენო. მერწმუნეთ, ჯობია, პოლიტიკოსებმა შეჭამონ ერთმანეთი, ვიდრე მათ ხალხი შეჭამონ, რასაც 30 წლის განმავლობაში ვუყურებთ.

***– კოალიციური მთავრობა, ოპოზიციის ერთგვარი გადაჭარბებული მოლოდინი ილუზია ხომ არ არის?***

– არანაირად არ არის ილუზია! ოპოზიციის გამარჯვება აბსოლუტურად რეალურია. იმედი მაქვს, საზოგადოებას ნამდვილად აღარ უნდა ამ პირობებში ცხოვრება, როდესაც კორუფცია ხრავს ყველაფერს. როდესაც სახელმწიფო, უბრალოდ, გაჩერებულია და წინ ვერ მიდის, ვერ ვითარდება. ჩვენი ფული მიდის ამ ხელისუფლების ფუფუნებასა და მათი ახირებების დაკმაყოფილებაში. ამის მაგალითია თუნდაც ჭავჭავაძის გამზირი, რომელიც კალაძის საჩვენებელ სოფლად გადაიქცა. უკვე არსებულ ბოძებსაც კი თავიდან დგამენ და ამაზეც ფულს აკეთებენ. შიმშილითა და სიღარიბით სავსე ქალაქში ატრაქციონებისთვის რომ სცხელათ, ეს არის პრობლემა. ამ დროს ადამიანებისთვის ვერ იმეტებენ შემწეობას.

თუ გვინდა, რომ პირიქით იყოს ეს ყველაფერი, თუ გვინდა, რომ სამართლიანი სასამართლო გვქონდეს, რომლის საჭიროებასაც ყოველ ნაბიჯზე ვხედავთ, ვხედავთ, რა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია სამართლიანი და დამოუკიდებელი სასამართლო სისტემა, მაშინ ერთადერთი გამოსავალი კოალიციური მთავრობაა! ეს უნდა გააცნობიეროს ამ ქვეყნის თითოეულმა მოქალაქემ.

***– თქვენ კი ამბობთ, კოალიციური მთავრობაო, მაგრამ სააკაშვილს აქვს განცდა, რომ ის მოვა ერთპიროვნულად, უფრო ზუსტად კი – ნაციონალური მოძრაობა.***

– ერთპიროვნული ძალაუფლების ხელში ჩაგდება არავის გამოუვა და ამის დაზღვევა ამომრჩეველია. არჩევანი არ არის ივანიშვილსა და სააკაშვილს შორის. არჩევანი ბევრად უფრო ფართო და მრავალფეროვანია. ამიტომ ამომრჩეველი უნდა მივიდეს არჩევნებზე, პირველ რიგში, ის ამომრჩეველი, რომელიც არ დადის არჩევნებზე. ვინც არჩევნებზე არ მიდის, ის ქვეყნის მტერია, პირველ რიგში, საკუთარი თავის მტერია. ჩვენს ხელშია ყველაფერი. ვერც ერთი ძალა ვერ ფლობს იმ მხარდაჭერას, რომ სრული ძალაუფლება აიღოს, ამიტომ ახლა ჩვენი ბედი ჩვენსავე ხელშია. არის შიშები, რომ მაინც გააყალბებენ, კანონმდებლობაშიც არის ხარვეზები, რომელზეც ამერიკამ მიუთითა კიდეც, მაგრამ ეს ყველაფერი დაძლევადია ამომრჩევლის მაღალი აქტივობით. ბიულეტენის წიხლით ჩატენას ველარ გაბედავენ, ვერც ისეთ მოსყიდვებს, რომლებიც არაერთი გვინახავს, ამიტომ მაღალ აქტივობას ექნება ამ არჩევნებზე გადამწყვეტი მნიშვნელობა.

***– მეორე ტურები იქნება?***

– იქნება, თუ გავითვალისწინებთ ხელისუფლების ადმინისტრაციულ რესურსს. თუ ამომრჩეველი ძალიან აქტიური იქნება, მაშინ პირველივე ტურში გაირკვევა ყველაფერი და მეორე ტური აღარ იქნება საჭირო. მეორე ტურში უკვე ოპოზიციის კოორდინაცია ნამდვილად გარდაუვალი იქნება. არც ამ ეტაპზე მგონია, დიდი ტრაგედია იყოს, ოლქების დიდ ნაწილში საერთო კანდიდატები რომ არ გვყავს.



**შევიძენ**
ძველ ანტიკვარულ ნივთებს,
ნახატ სურათებს,
ძველ წიგნებს და ფაიფურს.
ტელ.: 598-43-98-57

# „ახლანდელი საარჩევნო მოდელი სამართლიანი არჩევნების ჩატარების გარანტიას არ იძლევა“

## მამუკა გიორგაძე: „დღევანდელი ცესკო ატარებს იმ არჩევნებს, რომელიც მმართველ პარტიას აწყობს. ამჟამად ის ემსახურება „ქართულ ოცნებას“, მანამდე კი ნაციონალურ მოძრაობასა და მოქალაქეთა კავშირს ემსახურებოდა“

მარიამ მჭედლიშვილი

**რას ნიშნავს პროპორციულთან მიახლოებული შერეული არჩევნები 1%-იანი ბარიერით? რა სიტუაციაა პოლიტიკურ სპექტრში? ვინ ცდილობს პოლიტიკური ბაზრის მონოპოლიზებას? ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა სახალხო პარტიის ლიდერს, ყოფილ დეპუტატ მამუკა გიორგაძეს.**

***– არის თუ არა ახლანდელი, პროპორციულთან მიახლოებული მოდელი მრავალპარტიული პარლამენტის შექმნის გარანტია?***

– გარანტიამდე ბევრი გვიკლია. იმისათვის, რომ ასეთი პარლამენტი მივიღოთ, აუცილებელია ობიექტური და სამართლიანი არჩევნები. ახლანდელი მოდელი ამის გარანტიას არ იძლევა. სამართლიანი არჩევნებისათვის საჭიროა ნორმალური საარჩევნო კანონმდებლობა და ხელისუფლების ნება. თავისუფალი არჩევნები უნდა ჩაატარონ დამოუკიდებელმა ინსტიტუტებმა.

***– ცესკო დამოუკიდებელი ინსტიტუტი არ არის?***

– რასაკვირველია, არ არის. დღევანდელი ცესკო ატარებს იმ არჩევნებს, რომელიც მმართველ პარტიას აწყობს. ამჟამად ის ემსახურება „ქართულ ოცნებას“, მანამდე კი ემსახურებოდა ნაციონალურ მოძრაობასა და მოქალაქეთა კავშირს. არჩევნების ჩამტარებელი სახელმწიფო ინსტიტუტი უნდა იყოს ნეიტრალური და სწორად დაკომპლექტებული. აბა, ის არის სწორი, 12 წევრიდან 9 თუ 19 რომ მმართველი პარტიისაა?! ეს არის მმართველი პარტიის უდიდესი უპირატესობა სხვებთან შედარებით.

***– მმართველ პარტიას სხვა უპირატესობებიც აქვს.***

– ცხადია. როცა ქვეყანაში არ არის ნორმალური სასამართლო, თვითმმართველობა; როცა პოლიტიზებულია პოლიცია და უშიშროება, ესეც მმართველი პარტიის უპირატესობაა. ეს ინსტიტუტები პირდაპირ მუშაობენ „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ. მანამდე ისინი ნაციონალურ მოძრაობას ემსახურებოდნენ. ასეთ პირობებში ჩატარებული არჩევნები ზუსტად ვერ ასახავს მოსახლეობის განწყობებს. როგორც წესი, არჩევნების წინ გადმოგვიგდებენ ისეთ თემებს, რომლებსაც მიაქვს მთელი დრო და ყურადღება. კარგა ხნის განმავლობაში მთავარ თემად გაგვიხადეს საარჩევნო სისტემა და ის, რომ პროპორციული სჯობია მაჟორიტარულსა და შერეულს.



***– საქართველოში ხომ ლამის ყველას პროპორციული სისტემა უნდა?***

– დიახ, მაგრამ მახინჯი სისტემა რომ ისევ დარჩა?! პროპორციულს მივუახლოვდით. ხელისუფლება იძულებული გახდა, რაღაც დაეთმო. „ქართული ოცნება“ ისე იქცეოდა, როგორ აბეზარი და ონავარი ბავშვი. ბოლოს ცოტა დათმო. ეს მოხდა არა საქართველოს საზოგადოების ზეწოლით, არამედ, დასავლელი პარტნიორების მოთხოვნით. ცუდი ის არის, რომ ხელისუფლების ასეთი საქციელი ურტყამს საქართველოს იმიჯს. მმართველი პარტია ჯიუტობდა, ბოლოს კი მოსალაპარაკებლად მიუჯდა ძალას, რომელიც დამნაშავედ ჰყავდა გამოცხადებული.

***– ნაციონალურ მოძრაობაზე თუ ამბობთ, „ქართულ ოცნებას“ ნაცმოძრაობა დოკუმენტურად დამნაშავედ არ გამოუცხადებია, ზეპირი ურთიერთბრალდებები კი ხშირია.***

– საქმეც ეგაა. თუ ვინმე კრიმინალად მიგაჩნია, მისი საქმიანობა ხომ უნდა გამოიძიო?! აქამდე ხომ უნდა გაერკვიათ, რა ხდებოდა ქვეყანაში 2003-2012 წლებში? ემოციური განცხადებები სხვაა და პოლიტიკა – სხვა. პარტიის, ხელისუფლებისა თუ ჯგუფის სისტემური დანაშაული სასამართლომ უნდა დაამტკიცოს.

***– ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის მოლაპარაკებები არასწორად წარიმართა?***

– არაფერში სჭირდებოდათ ეს მოლაპარაკებები. ეს ცვლილებები, რომლითაც ეს საარჩევნო მოდელი მიიღეს, ისედაც გავიდოდა. ხმები ისედაც ჰყოფნიდათ. ნაცმოძრაობას ამ კენჭისყრაში მონაწილეობა საერთოდ არ მიუღია. ისედაც თუ გავიდოდა, რად უნდოდათ ეს სპექტაკლი?! საარჩევნო საკითხებს ე.წ. პოლიტპატიმრების თემაც მიაბეს.

***– თქვენი მოსაზრება როგორია? რად უნდოდათ ეს ყველაფერი?***

– აშკარაა, რომ მმართველი პარტია ნაცმოძრაობასთან ერთად ცდილობს ქაოსის გამოწვევასა და დესტაბილიზაციას. ამერიკელმა კონგრესმენებმა ბოლო ხანს ხელისუფლება ბევრჯერ გააკრიტიკეს. მათ წერილებში რამდენიმეჯერ ნახსენები იყო ქაოსი და დესტაბილიზაცია, დესტრუქციული ქმედებები და ამის მცდელობა. ნათელია, რომ ამაში „ქართულ ოცნებასთან“ ერთად მონაწილეობს ნაციონალური მოძრაობა. ორივე ძალას უნდა ქართველი ხალხის გაბითურება. ორივეს უნდა, შეინარჩუნოს დომინანტური მდგომარეობა. ორივეს უნდა, უზრუნველყონ პოლიტიკაში თავიანთი ყოფნა სატელიტებთან ერთად. სატელიტი მრავალნაირია. მმართველი პარტიის სატელიტები ტელეეთერებში ისე ლანძღავენ ივანიშვილს, თითქოს მართლა მისი მტრები იყვნენ და მისგან ფული არ ჰქონდეთ აღებული. ჩვენს ტელევიზიებს რომ თვალი გადაავლო, დაგრჩება შთაბეჭდილება, თითქოს პოლიტიკური ცხოვრება დუღს და გადმოდუღს.

***–სინამდვილეში რა ხდება?***

– რა ხდება და არიან სპექტაკლებში ჩართული „ქართული ოცნება“ და ნაციონალური მოძრაობა. სხვა ყველა, ვისაც ტელევიზიებში ტრიბუნას უთმობენ, დანამატი და სატელიტია. სუფრაზე რომ ორი მთავარი კერძია და დანარჩენი კერძები – გარნირები და მესამეხარისხოვანი მენიუ, აქაც იგივეა. გარნირებში ცხარე საკვებიც არის და დიეტურიც. ზოგიერთი პარტია და ჯგუფი რადიკალურია, ზოგი – ზომიერი, ზოგი – პრორუსი და ზოგი – დასავლელი. არიან რელიგიურები და ანტირელიგიურები.

***– თქვენ ჯერ კიდევ „ოცნების“ მოსვლის პირველ წლებში აცხადებდით, რომ პროდასავლელის სახელს, ფაქტობრივად, ყველა პარტია აყალბებს და რეალურად ყველა მათგანი რუსეთს ემსახურება.***

– დიახ. ეს 20 წელიწადი და მეტია, ასეა. დასავლური სახელი ჰქვიათ, მაგრამ ისინი ანტიდასავლურ პოლიტიკას ატარებენ. ამდენი წელიწადია, არც ერთ ხელისუფლებას ბოლომდე არ მიუყვანია არც ერთი რეფორმა. სასამართლოში თითქოს ბევრ რამეს ცვლიდნენ, მაგრამ არაფერი შეცვლილა. სამწუხაროა, რომ მოსახლეობის განწყობა უარესობისკენ იხრება. დღეს დასავლეთის მიმართ მოსახლეობის უფრო მეტი ნაწილია უარყოფითად განწყობილი, ვიდრე საბჭოთა კავშირის დროს იყო. საქართველოში ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ რეალურია დასავლეთის სანქციები გარკვეული პირების წინააღმდეგ. ყველაფერი ცუდი და უძრაობა ხდებოდა დასავლური დროშის ქვეშ. არადა, დასავლეთი იმიტომ გვინდა, რომ ნორმალურად ვიცხოვროთ. დასავლეთი ნიშნავს დამოუკიდებელ და სამართლიან სასამართლოს, კეთილდღეობას, დაცულობას. ნატოში იმიტომ გვინდა, რომ იყოს დეპოლიტიზებული ჯარი და პოლიცია, სამოქალაქო კონტროლი შეიარაღებასა და უსაფრთხოებაზე. დასავლეთი გულისხმობს დემოკრატიულ ინსტიტუტებს, თავისუფალ არჩევნებს, ხელმისაწვდომობას ჯანდაცვასა და განათლებაზე. ჩვენ აქედან არაფერი გვაქვს. საქართველოში გამყარდა ბოლშევიკური სისტემა. სად გაგიგიათ, რომ რომელიმე დემოკრატიულ ქვეყანაში იყვნენ ბელადები?!

***– ახლაც ბელადები გვყავს?***

– ივანიშვილიც ხომ ბელადია! ნახეთ, რას გადმოგვცემენ მის დაქვემდებარებაში მყოფი ტელევიზიები. მანამდე სააკაშვილი და შევარდნაძე იყვნენ ბელადები. დასავლეთის სახელმწიფოებს მართავენ დემოკრატიული ინსტიტუტები და არა – ბელადები. იქ არსებობს ნამდვილი სასამართლო, ნამდვილი თვითმმართველობა. ჩვენ დასავლეთს კი არ ვუახლოვდებით, უფრო ვცილდებით. დასავლური და დემოკრატიული, ამავე დროს, პატრიოტული ძალები ქვეყანას აქამდე არ მიიყვანდნენ.

***– ამ არჩევნებზე მეტ დამკვირვებელს ველით დასავლეთიდან.***

– ეს მნიშვნელოვანია. საერთოდ, დასავლეთი გააქტიურდა. ფაქტობრივად, ნატოს კრეისერები ფოთს მოადგნენ და ამ სიტუაციაში საქართველოს ხელისუფლება ძველებურად ვერ მოიქცევა, ძველებურ ლავირებას ვერ დაიწყებს. სხვა დრო დგება და ხელისუფლებას მოუწევს გარკვეულ შეკითხვებზე პასუხების გაცემა. ჩვენ, სახალხო პარტიას, არჩევნების დროს სადაც ბევრი ხმა გვქონდა მიღებული, იმ უბნებზე სპეცოპერაციას ატარებდნენ და ხმებს გვართმევდნენ. ახლა ამას ვერ იზამენ.

***– არჩევნებში მონაწილეობთ?***

– დიახ, არჩევნებში ვმონაწილეობთ. ახლა მეტი შანსია, რომ ხელისუფლებამ მასობრივად არ გააყალბოს არჩევნები და არ მოგვიწყოს სპეცოპერაციები საარჩევნო უბნებზე. სხვებთან ერთად (შესაძლოა, ვინმესთან არჩევნებამდე დავამყაროთ კონტაქტი) პარლამენტში შევეცდებით მოვახდინოთ გარღვევა. რაც სახალხო პარტია პარლამენტში არ არის წარმოდგენილი, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის პრობლემა პლენარულ სხდომაზე არ განხილულა. ჩვენ ამას გამოვასწორებთ.

# „ის დღე დავწყევლე, როცა კობახიძის ზარს ვუპასუხე“

დასაწყისი მე-3 გვერდზე

უფრო მყარი პოზიციები აქვს გახარიას, ხოლო თბილისის მასშტაბით კალაძეა მყარად. თუმცა დღემდე არ წყდება კულუარული საუბრები იმაზე, რომ გახარია არჩევნების შემდეგ მიდის.

***– რა იქნება?***

– ბიძინა ივანიშვილმა ის მუთაქები, რომლებიც ფულით ჰქონდა გაძეძგილი, გახსნა ოპოზიციური პარტიების საკეთილდღეოდ. ის დღეს ოპოზიციას ყიდულობს და არა ხალხს. ხალხისგან ისმის კითხვა: სად არის მესამე ძალა, სად არის ალტერნატიული ძალა?! სამწუხაროდ, ხელისუფლებამ და ოპოზიციამ ისე დაალაგეს ურთიერთობა, რომ მათ აღარ სჭირდებათ პოლიტიკურ ველზე მესამე და მეოთხე ძალა. ყველა, ვინც კი ქვეყნის მოტრფიალე იყო, გააჩუმეს და ჩრდილში გადაიყვანეს.

***– იგებს „ოცნება“ ამ არჩევნებს?***

– მე მაქვს ექსკლუზიურ ინფორმაცია და ეს არის ასეთი: „ქართული ოცნების“ მამები ხვდებიან იმას, რომ „ქართული ოცნება“ დიდი ხანი ველარ გასტანს, 2024 წლამდეც ვერ გასტანს. ამ ინფორმაციაზე ჯერ არავინ საუბრობს, მე ვაჟღერებ პირველად თქვენთან. ძალიან მალე, დაახლოებით იანვრიდან ეს აქტუალური თემა გახდება. „ქართული ოცნება“ ამზადებს „ოცნების“ დუბლებს.

***– რას გულისხმობთ?***

– ახალ პარტიას აკეთებენ „ოცნების“ მამები, სადაც იქნებიან ისეთი ადამიანები, რომლებიც ალტერნატივას წარმოადგენენ „ქართული ოცნებისას“ და არ იქნებიან ნაცები. გაგიმხელთ იმასაც, რომ ამ პარტიის დაკომპლექტება უკვე მიმდინარეობს. ეს ახალი პარტია თავის სათქმელს ადგილობრივ არჩევნებზე იტყვის. აქ შეიძლება ვიხილოთ ისეთი ადამიანები, რომლებიც „ქართულ ოცნებაში“ იყვნენ, მაგრამ დღეს არ არიან. აქ არ იქნებიან პორტირებული ნაცები, არამცდაარამც.

***– ანუ იქმნება „ოცნების“ ალტერნატივა ისევ „ოცნების“ მიერ?***

– გაგახსენებთ ბიძინა ივანიშვილის სიტყვებს, თუ „ქართულმა ოცნებამ“ გადაუხვია გზიდან, მე წამოვალ და სხვა პარტიით ჩავანაცვლებო. აი, ეს პროცესი დაიწყო ივანიშვილმა. შეხედეთ „ქართულ ოცნებას“, იქ ჩანს, რომ ბიძინა ივანიშვილს შესტკივა ამ პარტიაზე გული?! მხოლოდ ერთხელ გამოჩნდა მაჟორიტარების წარდგენისას.

***– აღარ აინტერესებს ეს პარტია?***

– ივანიშვილს ხელი აქვს ჩაქნეული ამ პარტიაზე, აღარ აინტერესებს, მიუშვა ნებაზე. ხომ ხედავთ, ისევ კობახიძეს მისცა სია დასაკომპლექტებლად. „ქართული ოცნების“ ერთი მაჟორიტარობის კანდიდატი შემხვდა და, იცით, რა მითხრა? ის დღე დავწყევლე, როდესაც კობახიძის ზარს ვუპასუხეო. რა მინდოდა, მაჟორიტარად დამასახელესო.

თვითონ არ უნდოდათ ამ მაჟორიტარებს, რომ კანდიდატები ყოფილიყვნენ. შაბათს დამირეკეს და ორშაბათს უკვე მაჟორიტარად წარმადგინესო. დროც არ მისცეს. წარმოგიდგენიათ, რა ხდება შიგნით? ასეთი ადამიანი როგორ შეიძლება იყოს იდეური ქოცი?! ეს პარტია გაცვეთილია. მან მოჭამა თავისი!

შესაძლოა, საკონსტიტუციო უმრავლესობა ვერ შექმნან, მაგრამ ამ არჩევნებს მოიგებენ, თუმცა ძალიან მალე მოხდება მათი ჩანაცვლება. მაქსიმალურად შეეცდებიან, შეინარჩუნონ სტაბილურობა. ოპოზიციას მაქსიმალურად აჭმევენ, აბსოლუტურად ყველას შეიყვანენ პარლამენტში, თუნდაც თითო კაცით, რომ არ დარჩეს ქუჩის ოპოზიცია და დაიწყებენ მუშაობას ალტერნატიული პარტიის შესაქმნელად.

# ნინო ბურჯანაძე: „სააკაშვილს ჰგონია, რომ ნახევარი საქართველო ელოდება“



– მიხეილ სააკაშვილს აქვს შინაგანი განწყობა, რომ ნახევარი საქართველო ელოდება, როდის დაბრუნდება ხელისუფლებაში, თუმცა ასე არ არის, – ამის შესახებ ბურჯანაძემ „პალიტრანიუსის“ გადაცემა „დღის ნიუსრუმში“ განაცხადა, რითაც საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის განცხადებას გამოეხმაურა იმის თაობაზე, რომ საპარლამენტო არჩევნებში ნაციონალური მოძრაობა დამაჯერებლად გაიმარჯვებს და კოალიციური მთავრობის დაკომპლექტების საკითხი დღის წესრიგში არ დადგება.

ბურჯანაძის თქმით, სააკაშვილი საქართველოში არ იმყოფება და ობიექტურ რეალობას მოწყვეტილია.

– ერთი მხრივ, ის ცდილობს, მაქსიმალური მოტივაცია მისცეს თავის ამომრჩეველს იმიტომ, რომ ყველა პარტიის ამომრჩეველს უნდა, თავისი რჩეული პარტია დაინახოს ხელისუფლებაში. მეორე მხრივ, ის მოწყვეტილია ობიექტურ რეალობას იმიტომ, რომ არ არის საქართველოში. რაც არ უნდა ძლიერი ან გამოცდილი იყოს პოლიტიკოსი და სააკაშვილი მომწონს თუ არა, პოლიტიკოსია უდავოდ, როცა ის არ არის ადგილზე, აუცილებლად რეალობას სწყდება.

მას აშკარად აქვს შინაგანი განწყობა, რომ ნახევარი საქართველო ელოდება, როდის დაბრუნდება ხელისუფლებაში, მაგრამ ასე არ არის. ამას ხედავენ მისი პარტიის აქ მყოფი ლიდერები და აცნობიერებენ ადგილობრივ რეალობას, როცა საზოგადოებას არ უნდა ბიძინა ივანიშვილი და „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში, მაგრამ არც მიხეილ სააკაშვილი და ნაციონალური მოძრაობა უნდა ერთპიროვნულად ხელისუფლებაში. მეც გულწრფელად გეტყვით, არ მინდა „ქართული ოცნება“ და ბიძინა ივანიშვილი ხელისუფლებაში, მაგრამ ერთპიროვნულ მმართველად კატეგორიულად არ მინდა მიხეილ სააკაშვილი და ნაციონალური მოძრაობა, მაგრამ ოპოზიციური პარტიებისგან შემდგარი კოალიციური მთავრობა, სადაც, ალბათ, იქნება ყველაზე დიდი ოპოზიციური პარტია ნაციონალური მოძრაობაც, ეს უკვე სხვა რამეა, – განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

# ალეკო ელისაშვილი საბურთალოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი იქნება

გუშინ, 4 აგვისტოს, პოლიტიკური გუნდის „ალეკო ელისაშვილი-მოქალაქეები“ პრეზენტაცია გაიმართა.

როგორც პოლიტიკური გუნდის ლიდერმა ალეკო ელისაშვილმა განაცხადა, ის საბურთალოზე მაჟორიტარობის კანდიდატად იყრის კენჭს.

მან მოქალაქეებს მიმართა, რომ ისინი არიან მისი ძალაც, ღონეც და მათი მხარდაჭერის იმედი აქვს.

– მინდა, ჩემს უბნელებს, ჩემს მეზობლებს, ჩემს საბურთალოელებს კიდევ ერთხელ ვთხოვო, კიდევ ერთხელ მსურს თქვენი თანადგომა, მინდა, რომ კიდევ ერთხელ და თქვენი მხარდაჭერით გავიმეოროთ ის წარმოუდგენელი ამბავი, რომელიც თბილისში 2014 წელს მოხდა, როდესაც საბურთალოელებმა მე, დამოუკიდებელ კანდიდატსა და დამოუკიდებელ პოლიტიკოსს, მხარი დამიჭირეს.

დიახ, არ მეშინია ურთულეს ბრძოლაში შესვლა და პარტია „მოქალაქეების“ სახელით მე ვიქნები საბურთალოს მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი.

ვიცი, რომ ძალიან მძიმე ბრძოლაში შევდივარ, მაგრამ ამას აქვს სწორედ ეშხი, ამ გამარჯვებას ექნება ეშხი, როდესაც კიდევ ერთხელ გავიმეორებ თქვენთან ერთად 2014 წლის შედეგს და კიდევ ერთხელ ვაჩვენებთ ხალხის ძალას, საბურთალოელების მხარდაჭერის ძალას. ღმერთმა დალოცოს ჩვენი საქართველო, – განაცხადა ელისაშვილმა.

# ბუსა ჟვანიას პატიმრობა შეეფარდა

## ადვოკატმა ირმა ჭკადუამ სასამართლოს 50.000-იანი გირაო შესთავაზა



გუშინ გოგი თოფაძის შვილიშვილის, ლევან თოფაძის დაჭრაში ბრალდებულ ბუსა ჟვანიას სასამართლო გაიმართა, რომელმაც ბრალდებულისთვის აღკვეთის ღონისძიების გამოტანაზე იმსჯელა.

სხდომამდე ბუსა ჟვანიას დედამ, ნინო ქადაგიძე-ჟვანიამ, განცხადება გააკეთა.

– მინდა, თოფაძეების ოჯახს ბოდიში მოვუხადო და ვუთხრა, რომ ჩემთვის ეს ისეთივე ტკივილია, თუ არა უარესი, როგორიც არის მათთვის. ვისურვებდი, რომ მე დამმართნოდა ეს. ჩვენ პასუხისმგებლობას, რა თქმა უნდა, არ გავურბივართ. ჯერ მიმდინარეობს გამოძიება. ახლა ნელნელა ხდება ჩვენებების წაკითხვა. იმედი მაქვს, გამოძიება ობიექტური იქნება. ის, რომ ბრალი დაუმძიმდა, ჩემთვის ძალიან მძიმე იყო. რა თქმა უნდა, სასჯელს იმსახურებს, თუმცა, არა მგონია, რომ ასეთს, – განაცხადა ნინო ქადაგიძე-ჟვანიამ.

საქმის პროკურორის განცხადებით, დაკავებულმა ლევან თოფაძეს, სავარაუდოდ, დანის რამდენიმე დარტყმით სიცოცხლისთვის საშიში ჭრილობები მიაყენა.

სახელმწიფო ბრალდებამ ბესარიონ ჟვანიას მიმართ პატიმრობის გამოყენება ითხოვა.

– 2 აგვისტოს, გამთენიისას, ბესარიონ ჟვანიამ ლევან თოფაძეს დანის რამდენიმეჯერ დარტყმით, განზრახ მკვლელობის მიზნით, სიცოცხლისათვის საშიში დაზიანებები მიაყენა. სახეზეა აღკვეთის ღონისძიების როგორც ფაქტობრივი, ასევე ფორმალური საფუძვლები, – განაცხადა პროკურორმა.

მისივე განმარტებით, ბესარიონ ჟვანიას მხრიდან ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე არსებობს. სახელმწიფო ბრალდების განცხადებით, ჟვანია არ მიუთითებს გარემოებების შესახებ.

პროკურორის თქმით, ბესარიონ ჟვანიასა და ლევან თოფაძეს შორის სატელეფონო კომუნიკაციის დროს შელაპარაკებას ჰქონდა ადგილი, აღნიშნულიდან მალევე კი ჟვანია თოფაძის საცხოვრებელ სახლში მივიდა და სიცოცხლისთვის საშიში დაზიანებები მიაყენა.

ბუსა ჟვანიას ადვოკატმა ირმა ჭკადუამ მისი დაცვის ქვეშ მყოფისთვის 50.000-ლარიანი გირაო მოითხოვა.

ჭკადუას განცხადებითვე, ბესარიონ ჟვანიას ცივი იარაღით მიყენებული ჭრილობები აღენიშნება, რასთან დაკავშირებითაც პროკურატურას საკუთარ შუამდგომლობაში არ უსაუბრია.

ჭკადუას განცხადებით, ბესარიონ ჟვანიამ კლინიკას სხვა სახელი და გვარი იმის გამო უთხრა, რომ დედამისს არ ენერვიულა.

საბოლოოდ ბუსა ჟვანიას აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ეკატერინე კუკულაშვილმა მიიღო.

სასამართლო პროცესზე თავად ბრალდებულს სიტყვით არ უსარგებლია. მოსამართლის კითხვაზე, არის თუ არა დასაქმებული და სად, უპასუხა, რომ ეროვნულ ბანკში სპეციალისტად მუშაობს.

სხდომის შემდეგ ადვოკატმა ირმა ჭკადუამ კომენტარი გააკეთა.

– საუბარი იმაზე, რომ ვიღაც თავს იძვრენს საიდანღაც, უბრალოდ, არ შეესაბამება სიმართლეს, – განაცხადა მან.

მისი თქმით, ბუსა ჟვანიას მუცლის არეში დაზიანებები აქვს.

– სასამართლომ არ დააკმაყოფილა ჩვენი შუამდგომლობა, დააკმაყოფილა ბრალდების მხარის შუამდგომლობა და ბუსას შეეფარდა პატიმრობა. ჯერ მისი პოზიცია არ არის ჩამოყალიბებული. იცით, რომ გამოძიება დაიწყო აბსოლუტურად სხვა მუხლით, შემდეგ კვალიფიკაცია შეიცვალა, მიმდინარეობს გამოძიება, დასაზუსტებელია ბევრი გარემოება, მათ შორის, რა გარემოებებში მიიღო თვითონ ბუსა ჟვანიამ დაზიანებები.

ბატონ გოგი თოფაძეს უდიდეს პატივისცემას ვუდასტურებ, ძალიან კარგია, რომ ბავშვი კარგად გრძნობს თავს, თუმცა, საუბარი იმაზე, რომ ვიღაც თავს იძვრენს საიდანღაც, უბრალოდ, არ შეესაბამება სიმართლეს, იმიტომ, რომ ბუსაც იყო იმავე საავადმყოფოში, არავინ არსად არ გარბის, დაველოდოთ გამოძიებას. ბუსას დაზიანებები აქვს მუცლის არეში, – განაცხადა ირმა ჭკადუამ.

❖ ❖ ❖

რა მოხდა 2 აგვისტოს, გამთენიის 5 საათზე, გოგი თოფაძის სახლში და რატომ დაჭრეს ლევანიკო თოფაძე, ამის შესახებ მედიაში არაერთი ვერსია გავრცელდა.

„ამბების" წყაროს ინფორმაციით, ბუსა თოფაძეების სახლში ყოფილი შეყვარებულის გამო მივიდა, რომელსაც ორი თვის წინ დაშორდა:

– ერთმანეთი წლები უყვარდათ, გოგოს ბუსას ოჯახიც იცნობდა. ძალიან ლამაზი გოგონაა, წარმომიდგენია, ახლა რა დღეშია. ის და ლევანიკო ბავშვობის მეგობრები არიან და არ მიკვირს, რომ მათთან სტუმრად იყო, რადგან საერთო სამეგობრო წრე ჰყავთ. მიზეზი რა გახდა, არ ვიცი, მაგრამ ბუსა და ის ორი თვის წინ ერთმანეთს დაშორდნენ. ბუსა ვერ ეგუებოდა ამას და თურმე ეჭვიანობდა, ყველგან დასდევდა და ხვდებოდა. იმ ღამესაც, ალბათ, გაიგო, რომ ლევანიკოსთან მეგობრები შეიკრიბნენ და მისი ყოფილი შეყვარებულიც იქ იყო. ალბათ, სწორედ ამიტომ მიაკითხა თოფაძეებს სახლში.

– ბუსაზე რა შეგიძლიათ გვითხრათ?

– ბუსა გენიოსია, კორნელის უნივერსიტეტი დაამთავრა. იცით, როგორ სწავლობდა და რა ჭკვიანია? – რაღაცნაირად აირია მისი ცხოვრება, ხომ გახსოვთ, გია ბარამიძესთანაც მოუვიდა კონფლიქტი და ფიზიკურად გაუსწორდა. ერთი რამ ნამდვილად შემიძლია გითხრათ, რომ ბუსას ყოფილი შეყვარებული და ლევანიკო თოფაძე მხოლოდ ბავშვობის მეგობრები არიან და ლევანიკოს არავისთვის წაურთმევია შეყვარებული.

მომხდარზე საუბრისას გოგი თოფაძემ განაცხადა, კაცი, რომელმაც ჩემი შვილიშვილი დაჭრა, იქ მყოფი ქალის მიმართ აგრესიულად იყო განწყობილიო.

– არ ვიცი, მაგრამ, რაც მითხრეს, ეს ქალბატონი და ეს ვაჟკაცი, ვინც იყო, რამდენიმე წელი იყვნენ ერთად, მერე თურმე ერთმანეთს დასცილდნენ, – განაცხადა მან.

„პრაიმტაიმის" ექსკლუზიური ინფორმაციით, კონფლიქტი მთაწმინდის ტერიტორიაზე, ფესტივალ „მზესუმზირაზე" დაიწყო, სადაც ლევან თოფაძე ზურაბ ჟვანიას ვაჟის, ბუსა ჟვანიას ყოფილ შეყვარებულთან ერთად მივიდა.

ერთ-ერთი თვითმხილველი გვიყვება, რომ ამ ფაქტმა იქ მყოფი ბუსა ჟვანიას გაღიზიანება გამოიწვია, რასაც მცირე შელაპარაკება მოჰყვა.

მოგვიანებით, ლევან თოფაძე მეგობრებთან ერთად ვაკეში, მის საცხოვრებელ სახლში წავიდა, სადაც სისხლიანი გარჩევა მოხდა.

# თეონა თამაზაშვილი: „მოვითხოვთ, გფბ გამოძიებაში ჩაერთოს!"

## შსს გფბ-ს ჩართვაზე თანხმობას აცხადებს

გუშინ, 4 აგვისტოს, გარდაცვლილი თამარ ბაჩალიაშვილის დედამ მომხრეებთან ერთად აშშ-ის საელჩოსთან აქცია გამართა. მისი მოთხოვნა თამარ ბაჩალიაშვილის გარდაცვალების საქმეში შეერთებული შტატების გამოძიების ფედერალური ბიუროს ჩართვა იყო.

აშშ-ის საელჩოში მათ განუცხადეს, რომ ელჩი კელი დეგნანი ამჟამად ადგილზე არ იმყოფებოდა და მათ საელჩოს წარმომადგენელი შეხვდა.

როგორც საელჩოში გამართული შეხვედრის დასრულების შემდეგ თეონა თამაზაშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა, საქმეში აშშ-ის ფედერალური ბიურო მაშინ ჩაერთვება, თუ ეს სახელმწიფოს მოთხოვნა იქნება.

– მგონია, რომ ერთი აგური დავდე სიმართლის დასადგენად. პასუხი მითხრეს, რომ მთავრობა უნდა ჩაერთოსო. დღეს არის გადამწყვეტი დღე, დაიდება მანქანისა და კომპიუტერის ექსპერტიზა, – განაცხადა თამაზაშვილმა.



მისი თქმით, ოჯახის სამომავლო გეგმები ხელისუფლებისა და საგამოძიებო უწყებების ქმედებებზეა დამოკიდებული.

გუშინვე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ თამარ ბაჩალიაშვილის საქმესთან დაკავშირებით ამერიკის გამოძიების ფედერალურ ბიუროსთან თანამშრომლობის შესახებ მზადყოფნა გამოთქვა.

უწყებაში აცხადებენ, რომ აღნიშნული მიზნით ოჯახს სამინისტრომ შეხვედრა შესთავაზა.

„შინაგან საქმეთა სამინისტრო დაუკავშირდა თამარ ბაჩალიაშვილის ოჯახის ადვოკატს მათ მიერ გაკეთებულ განცხადებასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა საქმეში ამერიკის ფედერალური ბიუროს ჩართულობას. სამინისტრო გამოთქვამს მზადყოფნას აღნიშნულ პროცესში ამერიკის საგამოძიებო ბიუროსთან თანამშრომლობის შესახებ და ამ მიზნით დღეს ოჯახს შეხვედრა შესთავაზა", – აცხადებენ უწყებაში.

გუშინ დასრულდა თამარ ბაჩალიაშვილის კომპიუტერის გაშიფვრა.

– თამარ ბაჩალიაშვილის კომპიუტერიდან ამოღებულია 193.896 ზოგადი ფოტო და 480 ვიდეო, – ამის შესახებ ჟურნალისტებს ადვოკატმა მიხეილ რამიშვილმა განუცხადა.

ადვოკატის თქმით, ბოლოს თამარ ბაჩალიაშვილი პირად კომპიუტერში 18 ივლისის 10:02-ზეა შესული, მას შემდეგ კი ლეპტოპს არ გაჰკარებია.

მისივე განმარტებით, „თამარ ბაჩალიაშვილის კომპიუტერში სოციალური ქსელების „ფეისბუკისა" და „ინსტაგრამის" აპლიკაციები არ იყო ლოკალურად დაყენებული".

თამარ ბაჩალიაშვილი 18 ივლისს გაუჩინარდა. ახალგაზრდა პროგრამისტი სათვალთვალო კამერებმა ბოლოს თეთრიწყაროს რაიონში დააფიქსირეს. ის 5-დღიანი ძებნის შემდეგ თეთრიწყაროს ტყესთან, საკუთარ მანქანაში გარდაცვლილი იპოვეს.

ბაჩალიაშვილის საქმეზე გამოძიება თავისუფლების უკანონო აღკვეთის მუხლით დაიწყო, შემდეგ კი ბრალდების კვალიფიკაციას თვითმკვლელობამდე მიყვანის მუხლი დაემატა.

# საშინელი ავარია ანაკლიაში

## მერსედესი ხეს შეეჯახა. 3 ადამიანი დაიღუპა

გუშინ, 4 აგვისტოს, ავტოავარია ანაკლიაში მსხვერპლით დასრულდა.

დაღუპულია მერსედესის მარკის ავტომობილში მსხდომი სამი ადამიანი, ერთი კი მძიმე მდგომარეობაში საავადმყოფოშია გადაყვანილი.

სავარაუდოდ, მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა და ხეს შეეჯახა.

ადგილზე სამართალდამცავები იყვნენ მობილიზებული.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ მომხდარზე გამოძიება სს კოდექსის 276-ე მუხლის მეექვსე ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს იმ პირის მიერ, რომელიც სატრანსპორტო საშუალებას მართავს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

შემთხვევა ანაკლია-განმუხურის საავტომობილო გზაზე, განმუხურის გადასახვევთან მოხდა.

# ლონდონის ბაღში საბა გაბედავა დაჭრეს, ნიკა ჩაჩუა ცემეს

## დაკავებულია ბაჩანა ციცქიშვილი

ლონდონის ბაღში 18 წლის საბა გაბედავა დაჭრეს. ბიჭს ცივი იარაღით ჭრილობები წელისა და მუცლის არეში აქვს მიყენებული. მისი მდგომარეობა მძიმეა.

კლინიკაშია მოთავსებულია გაბედავას მეგობარი ნიკა ჩაჩუაც. ის სასტიკად არის ნაცემი. პოლიციამ დანაშაული ცხელ კვალზე გახსნა და ბაჩანა ციცქიშვილი დააკავა.

ინფორმაცია „პრაიმტაიმს" შსს-ში დაუდასტურეს. უწყების განცხადებით, მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის 117-ე და 236-ე მუხლებით მიმდინარეობს, რაც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებასა და იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს.



# ფოთში ეძებენ გოგონას, რომელიც რიონში გადახტა

ფოთში, მდინარე რიონში, ახალგაზრდა ქალს ეძებენ. გავრცელებული ინფორმაციით, 20 წლამდე ასაკის გოგო ცოტნე დადიანის ხიდის მოაჯირზე იჯდა. როგორც თვითმხილველები აღნიშნავენ, გოგონა, სავარაუდოდ, ხიდიდან გადახტა.

გოგონას ოჯახის წევრები ამბობენ, რომ მას ურთიერთობა ჰქონდა მამაკაცთან, რომელიც სატელეფონო საუბრებისას ძალით სთხოვდა შეხვედრას. ახალგაზრდა ქალის ბიძაშვილის თქმით, იგი ხიდიდან გადავარდნის მომენტში სწორედ ამ ადამიანს ესაუბრებოდა.

დაკარგული ოჯახი ძებნაში დამატებითი საძიებო ძალებისა და მყვინთავების ჩართვას მოითხოვს.

შემთხვევა 3 აგვისტოს, გვიან ღამით მოხდა. ადგილზე მობილიზებული იყო პოლიცია.

# შს მინისტრის მოადგილემ ედის პრეზიდენტ დერეკ მიტჩელთან ონლაინშეხვედრა გამართა

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ნინო ცაციაშვილმა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (ედი) პრეზიდენტ დერეკ მიტჩელთან და ედის წინასაარჩევნო მონიტორინგის მისიის წარმომადგენლებთან ონლაინშეხვედრა გამართა.

ნინო ცაციაშვილმა ყურადღება გაამახვილა წინასაარჩევნო პერიოდში და არჩევნების დღეს საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით არჩევნების უსაფრთხო, თავისუფალ და მშვიდ გარემოში ჩატარების უზრუნველსაყოფად შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დაგეგმილ ღონისძიებებზე.

შეხვედრაზე მხარეებმა იმსჯელეს არჩევნებთან დაკავშირებით რელევანტური ინფორმაციის დაინტერესებული მხარეებისთვის პროაქტიურად მიწოდებისა და არჩევნების პროცესში პოლიტიკური ნეიტრალიტეტის პრინციპის დაცვის მნიშვნელობაზე. საუბარი, ასევე, შეეხებოდა კოვიდ-19-თან დაკავშირებით უსაფრთხო ზომების მიღების მნიშვნელობასა და საჭიროებას.

ონლაინშეხვედრას ასევე ესწრებოდნენ ედის წამყვანი ექსპერტი და საარჩევნო პროგრამის დირექტორი პატრიკ მერლო, ედის ყირგიზეთის ოფისის დირექტორი ალან გილამი, ედის ევრაზიის პროგრამების დირექტორი ლორა ჯუიტი, ედი-საქართველოს პროგრამის უფროსი მენეჯერი და მრჩეველი გენდერულ საკითხებში თეონა ყუფუნია და ედის საპარლამენტო პროგრამების კოორდინატორი მარიამ ბარამიძე.

# შს მინისტრმა თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დანაყოფების ხელმძღვანელებთან სამუშაო თათბირი გამართა



შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დანაყოფების ხელმძღვანელებთან სამუშაო თათბირი გამართა. შეხვედრას, ასევე, დაესწრნენ მინისტრის მოადგილე ვლადიმერ ბორცვაძე და თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დირექტორი შალვა ბედოიძე.

შინაგან საქმეთა მინისტრმა თანამშრომლებთან სამინისტროს პრიორიტეტული მიმართულებები განიხილა. თბილისის პოლიციის დეპარტამენტში სტრუქტურული და ფუნქციური გაუმჯობესების პროცესი აქტიურად მიმდინარეობს. გაფართოვდა საზოგადოებაზე ორიენტირებული საპოლიციო საქმიანობის არეალი. დეპარტამენტში უკვე გამიჯნულია საგამოძიებო, საუბნო და ოპერატიული მიმართულებები.

ვახტანგ გომელაურმა თბილისის სხვადასხვა რაიონის პოლიციის ხელმძღვანელებისგან დედაქალაქში დანაშაულთან ბრძოლის, ასევე, პრევენციული საპოლიციო ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია მოისმინა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დანაყოფების ხელმძღვანელებს შესაბამისი დავალებები მისცა.

# ჩრდილოეთ კორეა ბირთვული იარაღის პროგრამას აგრძელებს

ჩრდილოეთ კორეა აგრძელებს ბირთვული იარაღის პროგრამას და რამდენიმე ქვეყანას მიაჩნია, რომ მან, სავარაუდოდ, საკუთარი ბალისტიკური რაკეტების საბრძოლო თავებთან თავსებადი მინიატურული ბირთვული მოწყობილობები შექმნა.



ამის შესახებ გაეროს საიდუმლო მოხსენებაშია ნათქვამი.

დამოუკიდებელი ექსპერტების ჯგუფის შუალედური ანგარიში გაეროს უშიშროების საბჭოს 15-წევრიან კომიტეტს წარედგინა, რომელიც ჩრდილოეთ კორეის სანქციებთან დაკავშირებულ საკითხებზე მუშაობს.

„ჩრდილოეთ კორეის დემოკრატიული რესპუბლიკა საკუთარ ბირთვულ პროგრამას აგრძელებს, მათ შორის გამდიდრებული ურანის წარმოებასა და ექსპერიმენტული მსუბუქი წყლის რეაქტორის მშენებლობას. წევრი ქვეყნის შეფასებით, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა აგრძელებს ბირთვული იარაღის წარმოებას“, – ნათქვამია მოხსენებაში.

დოკუმენტის თანახმად, ერთ-ერთი ქვეყანა მიიჩნევს, რომ ჩრდილოეთ კორეის მიერ ბოლო დროს განხორციელებული 6 ბირთვული გამოცდა მას მინიატურული ბირთვული მოწყობილობების შექმნაში დაეხმარა.

რამდენიმე დღის წინ ჩრდილოეთ კორეის ლიდერმა კიმ ჩენ ინმა განაცხადა, რომ ქვეყანას ომებში მონაწილეობა აღარ დასჭირდება, ვინაიდან ჩრდილოეთ კორეის ბირთვული არსენალი მის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს.

ჩრდილოეთ კორეას საკუთარი ბირთვული და ბალისტიკური სარაკეტო პროგრამების გამო გაეროს სანქციები 2006 წლიდან აქვს დაწესებული. გაეროს უშიშროების საბჭო ამ სანქციებს მუდმივად ამკაცრებს, რისი მიზანიც აღნიშნული პროგრამებისთვის დაფინანსების შეწყვეტაა.

# აშშ–პოლონეთი: სამხედრო თანამშრომლობა ფართოვდება

აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა მარკ ესპერმა განაცხადა, რომ პოლონეთთან სამხედრო თანამშრომლობა ფართოვდება. პოლონურ მხარესთან უკვე მიღწეულია შეთანხმება ქვეყანაში კიდევ 1.000 ამერიკელი ჯარისკაცის განთავსების თაობაზე.



– გერმანიდან 12.000 ამერიკელი ჯარისკაცი გამოვა. აქედან 1.000 პოლონეთში განთავსდება, – თქვა ესპერმა.

პოლონეთის პრეზიდენტი დუდა ქვეყანაში ამერიკელი ჯარისკაცების განთავსებას მიესალმა, სამაგიეროდ, პოლონეთში აშშ-ის დამატებითი ძალების გამოჩენამ რუსეთი აღაშფოთა.

– თუ პოლონელები თავიანთ ტერიტორიაზე ამერიკელთა დამატებით ძალებს განათავსებენ, ამით ისინი ჩვენი რაკეტების სამიზნე გახდებიან! – განაცხადა ჟირინოვსკიმ.

# ესპანეთის ყოფილი მეფე ქვეყანას ტოვებს

ესპანეთის ყოფილი მეფე ხუან კარლოსი ქვეყანას ტოვებს.



ხუან კარლოსმა თავის ვაჟს ფილიპეს ოფიციალური წერილით მიმართა და თავისი განზრახვის შესახებ შეატყობინა.

– ესპანეთის ინტერესები მაიძულებს, ქვეყანა დავტოვო, – წერს ხუან კარლოსი.

ექსპერტების აზრით, ესპანეთის ყოფილი მეფის გადაწყვეტილება იმ ურიცხვმა სკანდალებმა განაპირობა, რომლებიც მის გარშემო უკანასკნელ ხანს აგორდა. ხუან კარლოსს ესპანური მედია კორუფციაში, ფულის გათეთრებაში, გადასახადების გადახდისაგან თავის არიდებაში ადანაშაულებდა.

ესპანეთის ამჟამინდელმა მეფემ ფილიპემ საპასუხო წერილში მამამისს მადლობა გადაუხადა. მან აღნიშნა, რომ ხუან კარლოსმა ბევრი გააკეთა საიმისოდ, რომ ესპანეთი თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებულიყო.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

## საზოგადოება

# „დიდი სცენა“ გიორგი გასვიანს დაემშვიდობა



მუსიკალური შოუ „დიდი სცენა“ მომღერალ გიორგი გასვიანს დაემშვიდობა.

შოუს მეხუთე საკონკურსო ტური გავარდნის კანდიდატების დუეტით გაიხსნა. გიორგი გასვიანისა და ცოტნე ბარბაქაძის დუეტის შესრულების შემდეგ მაყურებელთა მიერ მიცემული ხმებით პროექტი გიორგი გასვიანმა დატოვა.

„დიდი სცენის“ მეხუთე ლაივშოუზე მაყურებლის რჩეულად დასახელდა გიორგი ფუტკარაძე, მაყურებლისა და ჟიურის ქულათა ჯამითაც ლიდერი გიორგი ფუტკარაძე გახდა.

რაც შეეხება მეხუთე საკონკურსო ტურის საბოლოო შედეგებს, ბოლო სამ ადგილზე გავიდნენ კონკურსანტები მემე ჟორდანია, აკაკი პაპუნიდი და თინა დათიკაშვილი. მათგან ჟიურის რჩეული გახდა მემე ჟორდანია. შესაბამისად, მომდევნო საკონკურსო ტურში გავარდნის კანდიდატები გახდნენ აკაკი პაპუნიდი და თინა დათიკაშვილი.

9 აგვისტოს მეექვსე საკონკურსო კონცერტი ამ ორი კონკურსანტის დუეტით დაიწყება. მათთვის ხმის მიცემა შესაძლებელი იქნება კონკურსის დაწყებისთანავე. დუეტის შესრულების დროს მაყურებელს ხმის მიცემა შეეძლება მხოლოდ აუტსაიდერებისთვის. მას შემდეგ, რაც ერთ-ერთი კორნკურსანტი დატოვებს პროექტს, ნებისმიერ მსურველს უკვე შეეძლება, დაურეკოს და ხმა მისცეს ყველა კონკურსანტს, მათ შორის პროექტში დარჩენილ აუტსაიდერსაც საკონკურსო ტურის დასრულებამდე.

# ალექსანდრე ზაზარაშვილი დაბადების დღეს კონცერტით აღნიშნავს



უკრაინული „ვოისის“ გამარჯვებული ალექსანდრე ზაზარაშვილი თავის დაბადების დღეს ამერიკაში კონცერტით აღნიშნავს.

9 აგვისტოს რესტორან „გოლდენ გეითსში“ ალექსანდრესთან ერთად სტუმრების წინაშე წარდგებიან ამერიკაში მოღვაწე ქართველი მსოფლიო ბარიტონი დავით ღვინიანიძე და ქართველი მოცეკვავეები.

უნიჭიერესი მომღერლის დაბადების დღის კონცერტს ნინა ჯანგველაძე გაუძღვება. ალექსანდრეს კონცერტზე დასასწრები ბილეთის ფასი 80 დოლარია და ფილადელფიის ქართულ ეკლესიაში იყიდება.

# „მასტერშეფი“ მეოთხე სეზონს იწყებს




კულინარიული შოუ „მასტერშეფი“ მეოთხე სეზონს იწყებს.

შემოქმედებითმა ჯგუფმა უკვე გამოაცხადა შესარჩევი ტური და კულინარიაში საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებულ ნებისმიერ მსურველს კონკურსში მონაწილეობა შესთავაზა.

„მასტერშეფის“ ოფიციალურ გვერდზე უკვე განთავსდა სპეციალური ანკეტა, რომლის შევსებაც ყველას შეუძლია.

მეოთხე სეზონი საზოგადოებრივ მაუწყებელზე ახალი სატელევიზიო ეთერიდან დაიწყება და ლუკა ნაჭყებია, ლევან კობიაშვილი და კონსტანტინე თედელური შეეცდებიან, კულინარიული ნიჭით დაჯილდოებული კიდევ ერთი ადამიანი აღმოაჩინონ.

„მასტერშეფის“ სამი სეზონის გამარჯვებულები გახდნენ ია ძაგანია, ნუცა სურგულაძე და სერგო ოვჩარენკო.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**



# კახა კაშია: „საბურთალო საკუთარ სახეს ინარჩუნებს“

**ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრე დასასრულს უახლოვდება. ასევე მოახლოებულია ევროტურნირები, რომლებშიც 4 ქართული გუნდი მიიღებს მონაწილეობას. ერთ-ერთი მათგანი საბურთალოა, რომლის აღმასრულებელი დირექტორი კახა კაშია მიმდინარე ჩემპიონატზე, კარს მომდგარ ევროტურნირებსა და მომავალ გეგმებზე საუბრობს.**

***– ბატონო კახა, პირველი წრე დასასრულს უახლოვდება. გათამაშების ცხრილს თვალი რომ გადავავლოთ, ვნახავთ, რომ როგორც ზედა, ასევე ქვედა პოზიციებზე სიმჭიდროვეა. როგორ შეაფასებთ მიმდინარე სეზონს საბურთალოსთვის?***

– ცნობილი მოვლენებიდან გამომდინარე, იცით, რომ წლევანდელი ფორმატი შეცვლილია. 4 წრის ნაცვლად პირველობა 2 წრედ ტარდება. ასეთ დროს, შეცდომის დაშვების უფლება არა გაქვს. თითოეული მოპოვებული ქულა ძალიან მნიშვნელოვანია. პირველი წრის დასრულებამდე ლიდერთა შორის ვიმყოფებით, თუმცა წინ დიდი ბრძოლები გველის. არა მხოლოდ ჩვენთან, არამედ მთელ მსოფლიოში რთული მდგომარეობა იყო. სასიხარულოა, რომ საქართველოში მეტნაკლებად სტაბილური მდგომარეობაა, რისთვისაც მადლობა ეკუთვნით იმ ადამიანებს, რომლებიც ამ პროცესებში უშუალოდ იყვნენ ჩართულნი. ასევე, მადლობა სამთავრობო სტრუქტურებს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას, რომლებიც ძალიან ბევრს შრომობდნენ, საქართველოში ფეხბურთი რომ განახლებულიყო.

***– საბურთალო გეზს არ იცვლის და თავის აღზრდილ ფეხბურთელებს ჯერ პირველ გუნდში აწინაურებს, შემდეგ კი გზას ევროპაში უხსნის. უფრო ახლოს გაგვაცანით ის ფეხბურთელები, რომლებსაც წლეულს ძირითად გუნდში თავის დამკვიდრების შანსი მიეცათ.***

– რამდენიმე ახალგაზრდას მიეცა პირველ გუნდში თამაშის შესაძლებლობა. თუ გიორგი გულიაშვილი წინა სეზონში სტაბილურად ვარჯიშობდა და რამდენიმე შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო კიდევაც, პირველი ნაბიჯები გადადგეს და რამდენიმე შეხვედრაში განაცხადში იყვნენ საბურთალო 2-ის ფეხბურთელები: შოთა ნონიკაშვილი, გიორგი გოჩოლეიშვილი, თორნიკე მეგრელიშვილი და თემურ გაბუნია. პერსპექტიული ფეხბურთელები არიან, იმედია, ნდობას გაამართლებენ. ახლა ჯერი მათზეა. საბურთალო აღებულ გეზს არ ღალატობს და მაქსიმალურად ცდილობს, თავისი აღზრდილი ფეხბურთელებით

**გაგრძელება მე-7 გვერდზე**

# ლენგლეს ჩემპიონთა ლიგაზე შორს წასვლა სურს

ბარსელონის ვებგვერდზე გამოქვეყნდა ინტერვიუ კლემან ლანგლესთან, რომელმაც ჩემპიონთა ლიგაზე ნაპოლისთან მოახლოებულ დაპირისპირებაზე ისაუბრა.



**კლემან ლანგლე:**

– ნაპოლის დამარცხება საკმაოდ რთულია. პირველ შეხვედრაში ფრედ ვითამაშეთ, რითაც მხოლოდ მცირე უპირატესობა მოვიპოვეთ. შემდეგ ეტაპზე გასასვლელად და პორტუგალიაში გასამგზავრებლად მოგვიწევს, კარგი მატჩი ჩავატაროთ, მომავალში კი ვეცდებით, რაც შეიძლება შორ ეტაპამდე გავიდეთ...

მერტენსი? მის წინააღმდეგ თამაში პირველ დაპირისპირებაში ვერ შევძელი, თუმცა წინასასეზონო შეხვედრაში ეს მოვახერხე. მას საკმაოდ კარგი საწყისი სისწრაფე აქვს, უყვარს მცველების ზურგსუკან გაქცევა და დამაგვირგვინებელ ფაზაში, უბრალოდ, ლეტალურია. ნეაპოლში კარგი გოლიც გაიტანა.

რატომ ავირჩიე მცველობა? ყოველთვის მომწონდა, როგორ თამაშობდნენ მცველები. მიუხედავად იმისა, რომ ტელევიზორში ყურადღების ცენტრში ისინი არ იმყოფებიან, ლორან ბლანისა და ჟერარ პიკეს თამაში ჩემთვის შთამაგონებელი იყო. ვცდილობდი, მომავლისთვის სწორედ მათგან ამეღო მაგალითები...

საწყის წლებს რაც შეეხება, თავდაპირველად ნახევარმცველად ვთამაშობდი, თუმცა შემდეგში უფრო დიდ კლუბში გადავედი, სადაც ჩემი მონაცემები უკვე მცველის ამპლუის შესაბამისად მიიჩნიეს...

ევროპელ თავდამსხმელებს შორის ლევანდოვსკის გამოვყოფდი. ის ძალიან ტექნიკურია, შესანიშნავად თამაშობს კარის წინ და ასევე – საჯარიმოში, ფიზიკურადაც ძლიერია და მის წინააღმდეგ თამაშისას მუდმივად ყურადღებით უნდა იყო, რადგან სიტუაციის გამწვავება ძალიან სწრაფად შეუძლია...

ლუკაკუს წინააღმდეგ დაცვაც საკმაოდ რთულია, რადგან ის ფიზიკურად დიდი და მძლავრი მოთამაშეა. მირჩევნია, მასთან ახლოს არ ვიდგე, რათა არ შემომაბრუნოს და უპირატესობა არ მოიპოვოს...

მათ გარდა, რაშფორდის საწყისი სისწრაფე ძალიან შთამბეჭდავია და კარისაგან რაც შეიძლება შორს უნდა ამყოფო, რათა ხიფათი ვერ შექმნას. ასევე მანე და სალაჰი უძლიერესი თავდამსხმელები არიან, ფირმინო მათ ერთმანეთს აკავშირებს და მათთვის სივრცეების შექმნას ცდილობს.

# კლოპის ორმაგი სახე



მიუნხენის ბაიერნის პოლონელმა ლეგიონერმა რობერტ ლევანდოვსკიმ ჟურნალისტებთან იურგენ კლოპის შესახებ ისაუბრა. კითხვაზე, თუ ვინ მიაჩნია საუკეთესო მწვრთნელად, რომელთანაც ოდესმე უთამაშია, პოლონელმა ყოფილი მწვრთნელი დაასახელა.

რობერტ ლევანდოვსკი:

– ვფიქრობ, ეს იურგენ კლოპია, მის შემდეგ კი დავასახელებდი პეპ გვარდიოლას. კლოპს თითქოს 2 სახე აქვს. პირველი ის არის, რომ ფეხბურთელებს ისე კარგად ექცევა, გეგონება, მათი მამა იყოს. მისი მეორე სახე მთავარი მწვრთნელის სახეა. მას შეუძლია, შენ გითხრას ყველაფერი და აქ კარგ სიტყვებს არ ვგულისხმობ. აქვს უნარი, ცუდად ილაპარაკოს. ფეხბურთელებისთვის კლოპი ბრწყინვალე მოტივატორია. ის მოქმედებს იდეალურად, რადგანაც იცის, სად გადის ზღვარი, რომელსაც ფეხბურთელის მიმართ წნეხად გამოიყენებს ან, პირიქით, შეასუსტებს ზეწოლას. მისი სამწვრთნელო საქმიანობა შთამბეჭდავია. იურგენი არა მხოლოდ კარგი მწვრთნელი, არამედ კარგი ადამიანიც არის.

რობერტ ლევანდოვსკი და იურგენ კლოპი 2010-14 წლებში დორტმუნდში ერთად მუშაობდნენ.

## შედეგები

**3 აგვისტო**

**ფეხბურთი**

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| როსი-მოზერველი | 1:0 |

**შვედეთი. ალსვენსკა**

| | |
|---|---|
| ნორჩიოპინგი-მიალბი | 1:1 |
| ელფსბორგი-სირიუსი | 3:3 |

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

| | |
|---|---|
| ლახტი-ჰონკა | 0:0 |

**კალათბურთი**

**ნბა. რეგულარული სეზონი**

| | |
|---|---|
| მემფისი-ნიუ ორლეანი | 99:109 |
| სან ანტონიო-ფილადელფია | 130:132 |
| ლეიკერსი-იუტა | 116:108 |

## განცხადებები

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● ვმკურნალობ კარგი შედეგით სქესობრივ სისუსტესა და უძლურებას. მკურნალობაში ვიყენებ თანამედროვე საშუალებებს, ასევე სათანადო აპარატურასა და „ერექტორებს“, რომლის საშუალებითაც უძლურ მამაკაცსაც შეუძლია ჩაატაროს სრულიად ნორმალური სქესობრივი კავშირი, რომელიც არ შეიგრძნობა, არ არის მავნე, უტყუარია გამოყენებისას და შეტანილია სექსოლოგიის, ასევე უროლოგიის სახელმძღვანელოებში. ტელ: 299-95-33; 593-60-60-44 იკითხეთ ექიმი მერაბი.

# კახა კაშია: „საბურთალო საკუთარ სახეს ინარჩუნებს“

დასაწყისი მე-6 გვერდზე

იასპარეზოს უძლიერესთა რიგებში, რა თქმა უნდა, რამდენიმე გამოცდილ ფეხბურთელთან ერთად. გავიხსენოთ რამდენიმე წლის წინ მიღწეული შედეგები – ჯერ ჩვენი აღზრდილებით მოვახერხეთ უმაღლეს ლიგაში გადასვლა, შემდეგ კი – სხვადასხვა ტიტულის მოგება.

*– გუნდს ლუკა ლაკვეხელიანი დაემშვიდობა და მომავალში უცხოეთში ითამაშებს. თუ იყო კლუბის ხელმძღვანელობის მხრიდან სურვილი, რომ ფეხბურთელი ევროტურნირებამდე დარჩენილიყო?*

– მიუხედავად იმისა, რომ თანამშრომლობის გაგრძელების სურვილი გვქონდა, გამოჩნდა უნგრეთის რეალური წინადადება და ხელი შევუწყვეთ ფეხბურთელის განვითარებას. ლაკვეხელიანის გამოცდილება კარს მომდგარ ევროტურნირებზე ძალიან წაგვადგებოდა, თუმცა ისევ და ისევ ფეხბურთელის უკეთეს ხვალინდელ დღეზე გავაკეთეთ აქცენტი. რომ გავიხსენოთ 2018 წელი, როდესაც ჩემპიონები გავხდით, პირველობა ჩვენი ერთ-ერთი ლიდერის, გიორგი ხარაიშვილის გარეშე მოვიპოვეთ. ჩავთვალეთ, რომ მისი წინსვლისთვის უკეთესი იქნებოდა, კარიერა შვედეთის ერთ-ერთ ტიტულოვან კლუბ გიოტებორგში გაეგრძელებინა, რაც, ჩვენი აზრით, სწორი ნაბიჯი იყო.

*– ლოკომოტივთან გიორგი კოხრეიძემ ტრავმა მიიღო, რაც გუნდისთვის დიდი დანაკლისია. ვინმეს დამატებას ხომ არ გეგმავთ?*

– გიორგი კოხრეიძემ სერიოზული ტრავმა მიიღო, რაც ძალიან სამწუხაროა და ჩვენთვის დიდი დანაკლისია. მიმდინარეობს სიღრმისეული კვლევები და რამდენიმე დღეში საბოლოოდ გვეცოდინება, თუ რა სიმძიმისაა ტრავმა. თუმცა ტრანსფერებზე დაწყებული მუშაობა გიორგის ტრავმამდეც გვქონდა, რადგან გაძლიერება გვჭირდებოდა. პანდემიამ ძალიან გაართულა კვალიფიციური ფეხბურთელის ჩამოყვანა. არსებობს სხვადასხვა პრობლემა. მიუხედავად ამისა, ვაგრძელებთ ტრანსფერებზე მუშაობას.

*– საინტერესოა, ევროტურნირებზე სად ითამაშებს საბურთალო იმ შემთხვევაში, თუ კენჭისყრამ მასპინძლის სტატუსი არგუნა?*

– წლეულს გადავწყვიტეთ, რომ იმ შემთხვევაში, თუ მასპინძლის სტატუსი გვექნება, საშინაო შეხვედრები გორში, თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონზე ჩავატაროთ.

*– რამდენიმე დღეში ევროტურნირების კენჭისყრა შედგება, სადაც საბურთალოს მეორედ მოუწევს ასპარეზობა. როგორია მოლოდინი და რას იტყვით ერთმატჩიან დაპირისპირებაზე?*

– როგორც იცით, განუთესავები ვიქნებით. წინასწარ არ ვიცით, ვის შევხვდებით, თუმცა ცხადია, რომ მეტოქე ძლიერი გუნდი გვეყოლება. მიუხედავად ამისა, გვსურს, წარმატებით ვიასპარეზოთ, გავახაროთ ქვეყანა და ჩვენი გულშემატკივარი. რაც შეეხება ერთმატჩიან შეხვედრებს, ერთმატჩიანი თამაშები დადებითი კუთხითაც შეიძლება განვიხილოთ. ასეთი თამაშები ფინალივითაა, ერთი შეხვედრა ნებისმიერ მეტოქესთან შეიძლება, წარმატებით ჩაატარო, იქნება ეს შინ თუ სტუმრად. პანდემიიდან გამომდინარე, უეფას რეგულაციები საკმაოდ მკაცრია, განსხვავდება საშინაო და საგარეო მატჩები. სამზადისს იმის მიხედვით დავიწყებთ, სად ვითამაშებთ მატჩს – საკუთარ კედლებში თუ სტუმრად.

*– გიორგი ქოჩორაშვილზე უნდა გკითხოთ – ბოლო წლებში იშვიათობაა ასეთ ტოპლიგის ჩემპიონატში ქართველი ფეხბურთელის თამაში. ის პირდაპირ საბურთალოს აკადემიიდან გადავიდა ესპანეთში. როგორ აღმოჩნდა ლევანტეში, შეგიძლიათ, გაიხსენოთ?*

– ქოჩორაშვილი საბურთალოს აკადემიის აღზრდილია. იშვიათობაა, რომ ფეხბურთელი პირდაპირ აკადემიიდან აღმოჩნდეს ასეთი დონის ჩემპიონატში. იცით, რომ საკმაოდ კარგი კავშირები გვაქვს როგორც ესპანეთთან, ისე სხვა წამყვანი საფეხბურთო ქვეყნების წარმომადგენლებთან. როდესაც ქოჩორაშვილი ესპანეთში გაემგზავრა, ჯერ ხირონაში იყო, შემდეგ კი – ლევანტეში. გიორგიმ თავისი შრომით, ბრძოლისუნარიანობით თავი კარგად



წარმოაჩინა, რის შემდეგაც პირველ გუნდში თავის დამკვიდრების შანსი მისცეს. ძალიან დიდი მოვლენა და წარმატებაა მთლიანად ჩვენი ფეხბურთის. ლა ლიგაში რომ ქართველი თამაშობს, საამაყო ფაქტია. ვულოცავ გიორგის ამ წარმატებას. ვიცი, რომ მიღწეულს არ დასჯერდება. მომავალში კიდევ უფრო დიდ წინსვლას ვუსურვებ.

*– მიმდინარე ეროვნულ ლიგაში ბევრი მწვრთნელია, რომლებსაც სხვადასხვა დროს საბურთალოში წარმატებით უმუშავიათ.*

– საბურთალო არა მხოლოდ ფეხბურთელების, არამედ მწვრთნელების სამჭედლოც არის. სწორად აღნიშნეთ, თვალი რომ გადავავლოთ, ვნახავთ, რომ ეროვნული ლიგის გუნდებში უმეტესად საბურთალოს ყოფილი მწვრთნელები არიან. საბურთალოს დაარსების საწყის ეტაპზე ბათუმის დინამოს მთავარ მწვრთნელ გია გეგუჩაძესთან ვთანამშრომლობდით. ლოკომოტივის ამჟამინდელ თავკაც გიორგი ჭიაბრიშვილის სახელს უკავშირდება პირველ ლიგაში გამარჯვება, შემდეგ – უძლიერესთა შორის ჩემპიონობა და თასის მოპოვება. თელავის მწვრთნელი რევაზ გოცირიძე ასევე წარმატებით მუშაობდა საბურთალოს დუბლშემადგენლობაში, გიორგი დეკანოსიძე კი, რომელიც ახლა თბილისის დინამოს ერთ-ერთი მწვრთნელია, ჩვენი აკადემიის ხელმძღვანელი იყო, რომლის დროსაც ბევრი სასიკეთო ნაბიჯი გადაიდგა. სასიხარულოა, რომ ეს ადამიანები, რომლებიც ახლა ჩამოვთვალე, თავიანთ კლუბებში ასევე წარმატებით მუშაობენ. ვისარგებლებ შემთხვევით და ყველა მათგანს საბურთალოში გატარებული წლებისთვის დიდ მადლობას გადავუხდი. მათ მომავალში კიდევ უფრო დიდ წინსვლას ვუსურვებ.

*– საბურთალო მოკლე დროში წარმატებული კლუბი გახდა – 2 წელიწადში 3 ტიტულის მოპოვება შეძლო. რა იქნება მომავალი მიზნები?*

– მართალია, ყველა ტიტული მოვიპოვეთ, თუმცა კიდევ გვსურს ყულაბის შევსება. ამ თამასას ქვემოთ არ დავწევთ, ყოველთვის მაღალი მიზნებისთვის ვიბრძოლებთ, ყოველწლიურად ვეცდებით, განვვითარდეთ და უკეთესად წარმოვაჩინოთ თავი. ასევე გვსურს, ევროტურნირებზე სტაბილურად ვითამაშოთ, გამოცდილება მივიღოთ და წარმატებისთვის ვიბრძოლოთ, რაც ძალიან მნიშვნელოვანია ბევრი ფეხბურთელის განვითარებისთვის.

# ევროლიგამ შენგელიას ტრანსფერი გამოარჩია



ევროლიგის ვებგვერდმა ივლისში მომხდარი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენები დაასახელა. სტატიაში აქცენტი გაკეთებულია როგორც ტრანსფერებზე, ისე მთავარ მწვრთნელთა ცვლილებებზე და გასაკვირი არ არის, რომ სიაში თორნიკე შენგელიაც მოხვდა, რომელმაც გასულ თვეში საკუთარი მომავალი მოსკოვის ცსკა-ს დაუკავშირა.

აი, რას წერს ევროლიგის ვებგვერდი:

– მოსკოვის ცსკა-მ თორნიკე შენგელიას გადაბირებით ძალიან ბევრი რამ შეიძინა. საუბარი მხოლოდ მის უნივერსალიზმსა და პროდუქტიულობას არ ეხება, რომლითაც იგი გასულ სეზონში გამოირჩა, საშუალოდ კარიერაში საუკეთესო, 15.9 ქულას აგროვებდა და სარგებლიანობის კოეფიციენტი 18.5 ჰქონდა. შენგელიას ლიდერისთვის დამახასიათებელი თვისებები აქვს და კაილ ჰანსის წასვლის შემდეგ ამ კომპონენტში გაჩენილ სიცარიელეს შეავსებს.

თორნიკე ცსკა-ს მებრძოლ ხასიათს შესძენს კლუბიდან, რომელშიც მან 6 წელიწადი გაატარა, მისი კაპიტანი იყო და 2020 წელს ესპანეთის ჩემპიონი გახდა. ცსკა-ში შენგელიას ნაცნობი სახეები დახვდებიან. ყოფილი თანაგუნდელები, დარუნ ჰილიარდი და იოჰანეს ვოიტმანი მას ადაპტაციაში დაეხმარებიან და მომდევნო სეზონისთვის ცსკა ძალიან სახიფათო გუნდი იქნება.

შენგელიას გარდა, ევროლიგის საიტმა ყურადღება კიდევ 9 მოვლენაზე გაამახვილა: ნიკ კალატესის ტრანსფერი ბარსელონაში, არტურას გუდაიტისი ზენიტში, ჯონი ჰემილტონი ფენერბაჰჩეში, შარუნას იასეკივიაჩუსი ბარსელონაში, ნიკოლა კალინიჩი ვალენსიაში, იგორ კოკოშკოვი ფენერბაჰჩეში, გრეგ მონრო ხიმკიში, ნემანია ნედოვიჩი პანათინაიკოსში და კოსტას სლუკასი ოლიმპიაკოსში.

**მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა**

# კაპელო: „იუვენტუსს ლიონთან გაუჭირდება“



სერია ა დასრულდა და, ტურინის იუვენტუსი ზედიზედ მე-9 სკუდეტოს რომ მოიგებდა, ეჭვი არავის ეპარებოდა, მით უფრო მას შემდეგ, რაც კონკურენტებმა გადამწყვეტი თამაშები ერთიმეორეს მიყოლებით ჩააგდეს.

თუმცა იუვენტუსისთვის სეზონი ამით არ დასრულებულა და 7 აგვისტოს გუნდს ლიონთან საპასუხო შეხვედრა ელის, რომლის პირველი დაპირისპირება ფრანგების გამარჯვებით (1:0) დასრულდა.

მოახლოებულ მატჩზე ჟურნალისტებს საკუთარი მოსაზრება ფაბიო კაპელომ გაანდო, რომელიც იუვენტუსს 2004-06 სეზონებში წვრთნიდა.

**ფაბიო კაპელო:**

– ეს არ იქნება იოლი შეხვედრა, რადგან ფრანგებს ძალიან ხისტი, სწრაფი და ფიზიკურად ძლიერი ფეხბურთელები ჰყავთ. მათ ზუსტად იციან, როდის რა უნდა გააკეთონ, თუმცა იუვეს უპირატესობა დღეისათვის სათამაშო ტონუსია. ამ მხრივ ფრანგებს სიფრთხილე მოუწევთ და, თუ მათ შეძლეს პირველი ტაიმის მიწურულს ბურთის გატანა, მაშინ ეს ტურინელებისთვის დამანგრეველი აღმოჩნდება. მაურისიო სარი კარგი სპეციალისტია. მას აქვს მკაფიო იდეები, რომლებიც დროს მოითხოვს. ერთია, ტურინში ამ დროს არავინ მოგცემს.

იკვეთება კონტურები და ფეხბურთელებიც უკეთესად გრძნობენ ერთმანეთს. სერია ა მოგებულია, მაგრამ იუვესთვის უპირველესი მიზანი რომელი ტურნირიც არის, ყველამ კარგად ვიცით. აქედან გამომდინარე, ზეწოლა მწვრთნელსა და ბიჭებზე სტანდარტულად მაღალია. მათ მოუწევთ მასთან გამკლავება, წინააღმდეგ შემთხვევაში, არც ერთ მათგანს არ დაინდობენ.

კრიშტიანო რონალდუ მოტივირებული იქნება, რადგან ბომბარდირობისთვის ბრძოლაში ფეხი დაუცდა. ეს არის ფეხბურთელი, რომელიც არ ნებდება და ამ მცირე დარტყმას მალევე გადაიტანს.

მატეის დე ლიხტზე კი ყოველთვის ერთსა და იმავეს ვიმეორებდი – ჰოლანდიელი არის უკვე შემდგარი ვარსკვლავი, რომელსაც შეუძლია ყველაზე რთული ამოცანების ამოხსნაც. იგი იუვენტუსის ნათელი მომავალია.

რონალდუსი რა მოგახსენოთ, მაგრამ ლიონის ჰოლანდიელი თავდამსხმელი მემფის დეპაი მოტივირებული რომ არის, ამას ჟურნალისტებთან მისი საუბარიც მოწმობს.

**მემფის დეპაი:**

– პირველ მატჩში ლიონის გუნდური სული დავინახე და ძალიან გამიხარდა. იუვენტუსს მაშინ კარგად არ უთამაშია, მაგრამ მას მერე დრო გავიდა. ბოლო დროს, ჩვენთან შედარებით, მათ გაცილებით მეტი მატჩები ჩაატარეს. მაგრამ ჩვენ მზად ვართ. ამ სიტუაციაში ახალი გრაფიკით ნებისმიერს შეუძლია ლიგის მოგება. ყველა შეხვედრის ბედი ხომ თითო მატჩში გადაწყდება. იუვენტუსის ფეხბურთელებს ევროთასებზე გამოსვლის დიდი გამოცდილება აქვთ. ჩვენთან, პირიქით, ბევრი ახალგაზრდა მოთამაშეა, რომლებიც ასეთ წნეხს ჩვეულნი არ არიან. ვნახოთ. ერთი ვიცი, რომ მშიერი გუნდი გვყავს და მეტოქის არ გვეშინია.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნილბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა, რაშიც ლამარა თოდუას ნაყენები დაგეხმარებათ. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52.**

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება**
**ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ

**შვეულად**: 1. მდინარე ბერლინში; 2. დარიშხანის საბადო რაჭაში; 3. იაფფასიანი ადგილი მაყურებელთა დარბაზში; 4. უმარილო ხმიადი, რომელსაც ებრაელები ამზადებენ პასექსისთვის; 5. საჭმელი სოკო; 6. იტალიელი კომპოზიტორი, მევიოლინე; 9. ნახევარკუნძული ევროპაში; 10. ადამიანი, რომელმაც მიიღო ახალი სარწმუნოება; 11. ქალაქი იმერეთში; 14. აკვიატებული შიში; 16. თეთრი ფერის ნახევრად ტკბილი ქართული სამარკო ღვინო; 18. წყალქვეშა ნავების წინააღმდეგ მებრძოლი სამხედრო გემი; 20. ქართველი სუმოისტი; 23. ქუდების მკერავი ძველად საქართველოში; 24. ჯეიმს ჯოისის რომანი; 25. მდინარე ოზურგეთში; 26. უბანი ქუთაისში.

**თარაზულად**: 7. კურორტი დუშეთის რაიონში; 8. ავტონომიური ოლქი ესპანეთში; 12. დუდუკზე შესრულებული დილის ჰანგი; 13. დაბალი ხის მაგიდა; 15. მდინარე ევროპაში; 17. ჩინეთის იმპერატორთა ტიტული; 19. კათოლიკური მამათა მონასტრის წინამძღვარი; 21. ბელგიის ფეხბურთელთა გუნდი; 22. საიდუმლო წერისთვის საჭირო პირობითი ნიშნების სისტემა; 27. ყოველთვიური ფულადი დახმარება სტუდენტთათვის; 28. ქართველ სახალხო მკურნალთა გვარი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*




## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ექსპრომტი; 2. ერუდიტი; 3. ჯილაგი; 4. რისკი; 5. იშხანი; 11. ტოშიბა; 12. ბაცილა; 14. ჟირო; 16. ლორნეტი; 17. დარნიცა; 19. რეცეპტი; 21. ლუარა; 22. შატლი.

**თარაზულად:** 6. ოქსფორდი; 7. ბაიყუში; 8. კაკაო; 9. არახისი; 10. გროტი; 13. სტაჟი; 15. პლებისციტი; 18. დავლური; 20. აბიო; 21. ლეკები; 23. ფილანტროპი; 24. ცეზარი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. კატაი; 2. დრონი; 3. კრახუნა; 4. ჯაკო; 5. შოვი; 6. ფილიპსი; 9. წუღრუღაშენი; 10. ალტიმეტრი. 11. ხევსურეთი; 14. ვიშნუ; 16. ფლეში; 18. სპირალი; 20. ნეკრესი; 23. პატი; 24. მარლი; 25. ალენი; 26. მესა.

**თარაზულად:** 7. ბრილიანტი; 8. კორონაცია; 12. გუელი; 13. შერპი; 15. თართი; 17. შიომღვიმე; 19. შაშვი; 21. დიდრო; 22. ეთიკა; 27. ალიგატორი; 28. მერსედესი.

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

5 აგვისტო


## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.0719

ევრო — 3.6021

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.0008

100 რუსული რუბლი — 4.1678

## ამინდის პროგნოზი 5 აგვისტოსათვის




## კასილიასმა საფეხბურთო კარიერა ოფიციალურად დაასრულა



მადრიდის რეალის ყოფილმა მეკარე იკერ კასილიასმა საფეხბურთო კარიერა ოფიციალურად დაასრულა, თუმცა ბოლო სეზონში ის თითქმის არ თამაშობდა. ოფიციალურად იკერს კარიერის დასრულების შესახებ განცხადება გაკეთებული არ ჰქონდა, ამიტომ ჯერ კიდევ აქტიურ ფეხბურთელად ითვლებოდა.

კასილიასის ბოლო გუნდი პორტუგალიური პორტო იყო, სადაც იკერი რეალიდან წასვლის შემდეგ მივიდა და 6 სეზონი გაატარა.

## ვან დეიკი: „ჩვენ ისევ გვაქვს მოტივაცია“



ლივერპულის ცენტრალურმა მცველმა ვირჯილ ვან დეიკმა განაცხადა, რომ მის გუნდს კვლავ აქვს მოტივაცია და მოგებულმა ტიტულებმა მათზე უარყოფითად არ იმოქმედა.

ვან დეიკის თქმით, ლივერპულის ყველა ფეხბურთელი იმავეს გრძნობს:

– ბოლო სეზონები ჩვენთვის წარმატებული იყო, მაგრამ ზუსტად იგივე მოტივაცია გვაქვს, რომელიც ადრე, რადგან ჩვენ მხოლოდ პირველობა გვსურს და სხვა არაფერი დაგვაკმაყოფილებს. მომავალ სეზონში კიდევ უფრო ამბიციურები ვიქნებით.

**მოამზადა ბექა გოგინაშვილმა**

## მამაკაცმა მონეტებით ხუთი ათასი დოლარი შეაგროვა და სახელმწიფოს შესწირა

ამერიკის ვისკონსინის შტატის მკვიდრმა ჯიმ ჰოლტონმა სახელმწიფოს ხუთი ათას დოლარზე მეტი შესწირა, რომელსაც მონეტებით წლების მანძილზე აგროვებდა.

როგორც ოთხი შვილის მამამ განაცხადა, მან მონეტების შეგროვება მაშინ დაიწყო, როდესაც მისი პირველი შვილი დაიბადა. პირველი ყულაბა სწრაფად შეივსო, თუმცა მამაკაცი ამაზე არ შეჩერებულა. მან გადაწყვიტა მონეტების შეგროვება გაეგრძელებინა მანამდე, სანამ მისი შვილები საშუალო სკოლას არ დაამთავრებდნენ და შემდეგ მთელი ოჯახი „გაერთობოდა“. მაგალითად, ევროპაში გაემგზავრებოდნენ სამოგზაუროდ. მისი გათვლებით მას ამ დროის განმავლობაში ათასიდან 1,5 ათას დოლარამდე უნდა შეგროვებოდა.



ოჯახის უფროსი ფულს სარდაფში ინახავდა და მისთვის ხელის ხლებას კიდევ რამდენიმე წელი არ აპირებდა, თუმცა როდესაც შეიტყო, რომ აშშ-ში კორონავირუსის პანდემიის პირობებში მონეტების ნაკლებობა წარმოიშვა, გადაწყვიტა, რომ საკუთარი წვლილი უნდა შეეტანა ქვეყნის ეკონომიკის გადარჩენაში. ის ბანკს დაუკავშირდა და მონეტების ჩაბარების თაობაზე შეუთანხმდა. ყულაბების და მონეტებით სავსე კონტეინერების გადატანა, რომლის წონამ 130 კილოგრამი შეადგინა, ურიკით მოუწია.

ფულის დათვლის შედეგად ჰოლტონმა თავისდა გასაკვირად შეიტყო, რომ ხუთი ათას დოლარზე მეტი თანხა ჰქონდა შეგროვებული. მან მთელი თანხა სახელმწიფოს გადასცა.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

## იუმორი

კაცმა სასწრაფო დახმარების ტელეფონზე დარეკა და პასუხად ესმის:

– გამარჯობა, თქვენ დარეკეთ სასწრაფო დახმარებაში. თქვენი ზარი ჩვენთვის მნიშვნელოვანია. თუ ინფარქტი გაქვთ, დააჭირეთ ღილაკს ერთი, თუ ინსულტი – ღილაკი ორი, თუ ეპილეფსიის შეტევა – ღილაკი სამი ან დაელოდეთ რიტუალური მომსახურების ოპერატორს.

●●●

ორნი საუბრობენ. ერთი მეორეს ეუბნება:

– ორი ახალი ამბავი მაქვს, კარგი და ცუდი.

– კარგით დაიწყე!

– ცუდს არ გეტყვი!

– და ცუდი რომელიღაა?

– კარგი არ მაქვს!

●●●

მოსამართლე დაზარალებულს ეკითხება:

– გთხოვთ, მიპასუხოთ, ბრალდებულმა „დებილი“ სპონტანურად, აღელვების ნიადაგზე ხომ არ გიწოდათ?

– გამორიცხულია, ბატონო მოსამართლევ! სანამ „დებილს“ მიწოდებდა, დიდხანს და გულდასმით მაკვირდებოდა.

●●●

მამაკაცს ნათესავი ეკითხება:

– ბიჭო, რა ხდება? შენი სიდედრი ერთ თვეში უკვე მესამედ მოიწამლა სოკოთი.

– ეგ სულ სკლეროზის ბრალია, ჩემთვის ამზადებს, მაგრამ ავიწყდება და თვითონვე ჭამს!

●●●

ღამით ქმარი საწოლზე ხტუნაობს. გაკვირვებული ცოლი ეკითხება:

– რას აკეთებ?

– დაე, მეზობლებს ეგონოთ, რომ სექსით ვართ დაკავებული...

დილით ცოლი ქმარს ცარიელ თეფშსა და კოვზს აწვდის და ეუბნება:

– მიდი, ერთმანეთს ურახუნე, დაე, მეზობლებს ეგონოთ, რომ ვსადილობთ...

## გიორგი კალანდიას მოპარული ბუხრის განთავსება ხელოვნების სასახლეში სურს



ხელოვნების სასახლის დირექტორ გიორგი კალანდიას პაოლო იაშვილის ქუჩაზე მოპარული უნიკალური ბუხრის განთავსება თავის მუზეუმში სურს.

ამ ინიციატივით მან შინაგან საქმეთა სამინისტროს, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროსა და თბილისის მერიას მიმართა:

– ყველა თვალსაზრისით ჯობია, ეს ბუხარი საქართველოს ხელოვნების სასახლეში, კულტურის ისტორიის მუზეუმში იყოს დაცული. ჩვენ გადავიტანთ მუზეუმში, გავარესტავრირებთ და მოვუვლით, არც მოპარვის საშიშროება იქნება და დამთვალიერებელიც იხილავს.

გიორგი კალანდიას ინიციატივას ქურდობის ფაქტის აღმომჩენი ნატა ფერაძე გამოეხმაურა და განაცხადა, რომ ბუხარი აუცილებლად კუთვნილ ადგილს უნდა დაუბრუნდეს და ის მისი მუზეუმში განთავსების წინააღმდეგია.

## ზაზა ურუშაძის „ხაჯიბეი“ კინოთეატრებში გამოვა



ქართველი რეჟისორის, „ოქროს გლობუსისა“ და „ოსკარის“ ნომინანტის ზაზა ურუშაძის კიდევ ერთი ფილმი, „ხაჯიბეი“, სულ მალე თურქეთისა და უკრაინის კინოთეატრებში გამოვა.

ფილმი საერთაშორისო პროექტია და მის შექმნაში რეჟისორმა ზაზა ურუშაძემ და პროდიუსერმა მირზა დავითაიამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს.

უკრაინული გამოცემების ინფორმაციით, ფილმზე მომუშავე შემოქმედებით გუნდს გაუმართლა, რომ ნამდვილ ლეგენდასთან, „ოსკარის“ ნომინანტ ზაზა ურუშაძესთან იმუშავა:

– ზაზა ურუშაძე ფილმის „ციხე-სიმაგრე ხაჯიბეის“ შემოქმედებითი პროდიუსერია. ფილმ „მანდარინებისთვის“ წარდგენილი იყო „ოქროს გლობუსისა“ და „ოსკარის“ დაჯილდოებაზე კატეგორიაში „საუკეთესო ფილმი უცხო ენაზე“, ასევე გადაეცა ვარშავის კინოფესტივალის ჯილდო საუკეთესო რეჟისურისათვის.

რაც შეეხება მირზა დავითაიას, ის არის ქართველი პროდიუსერი, სცენარისტი, ასევე – ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე.

ოდესის კინოსტუდიის პროექტში „ვიწრო ხიდი“ – სცენარის ავტორი, ფილმ „ანტონის“ რეჟისორი და სცენარის ავტორი ზაზა ურუშაძეა, პროდიუსერი კი – მირზა დავითაია.

და სულ მალე დარწმუნდებით, რომ „ციხე ჰაჯიბეი“ ნიჭიერი ადამიანების შთაგონებული თანამშრომლობის შედეგია, – ნათქვამია უკრაინული მედიის მიერ გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებაში.

შეძლებს თუ არა ამ ფილმის ნახვას ქართველი მაყურებელი, ჯერჯერობით უცნობია.

## ლეილა აბაშიძე 91 წლის გახდებოდა



კინოსა და თეატრის მსახიობი ლეილა აბაშიძე 91 წლის გახდებოდა. მსახიობი მისმა კოლეგებმა, მეგობრებმა და რიგითმა გულშემატკივრებმა გაიხსენეს.

**მამუკა პავლიაშვილი, მსახიობი:**

– რამდენი წელი ენატრებოდა კინოში გადაღება ქართული კინოს ჭეშმარიტ ვარსკვლავს! არ ვაღირსეთ, ისე გავისტუმრეთ ვარსკვლავებისკენ... აი, ესა ვართ!

თავად მსახიობი კი აცხადებდა, რომ მისთვის არანაირ ჯილდოსა და პრემიას არ აქვს ფასი, თუკი მაყურებლის სიყვარული არ ექნება. როდესაც კინოთეატრ „რუსთაველის“ წინ მისი სახელობითი ვარსკვლავი გაიხსნა, ლეილა აბაშიძემ ბედნიერმა განაცხადა:

– როცა კინოთეატრ „რუსთაველის“ წინ ჩემი ვარსკვლავი გახსნეს, იმ დღეს მეორედ დავიბადე. ადრე თუ გვიან აღარ ვიქნები ამქვეყნად, ეს ვარსკვლავი კი, სადაც ჩემი სახელი და გვარია ამოტვიფრული, მუდამ იარსებებს. ვერც კი წარმოიდგენთ, ეს რამხელა პატივია ჩემთვის, მით უმეტეს, რომ ჩემი ვარსკვლავი დიდებული, გენიალური ქართველი მსახიობი ქალის, ნატო ვაჩნაძის ვარსკვლავის გვერდით გაიხსნა. დიდი მადლობა, უპირველეს ყოვლისა, ქართველ ერს, ჩემს მაყურებელს, დიდი მადლობა ყველა იმ რეჟისორს, რომლებსაც ამ ვარსკვლავის გახსნაში წვლილი მიუძღვით, რადგან მათ ფილმებში მათამაშეს. მე ამას აღვიქვამ, როგორც უდიდეს ჯილდოს. ამ ბედნიერ დღეს ღმერთს ვთხოვ, რომ გენიალური ქართული კინო ისევ აღორძინდეს და უფრო მეტი ბრწყინვალებით წარდგეს მაყურებლის წინაშე. ჩემთვის ერთი ვარსკვლავი ცოტაა. მე მინდა, საქართველო ვარსკვლავების ქვეყნად იქცეს!

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

## ასტროპროგნოზი



### 5 აგვისტოსათვის

**ვერძი** – გეგმები თამამად შეიმუშავეთ. საქმიანი მოლაპარაკებები თქვენთვის სასურველი შედეგით დასრულდება. **კურო** – ცდუნებას ნუ აჰყვებით. ფინანსებს გაუფრთხილდით. ერიდეთ შორს გამგზავრებას. **ტყუპები** – ადრე დაწყებული საქმის დასამთავრებლად იღბლიანი დღეა. ვარსკვლავები გწყალობენ. **კირჩხიბი** – მატერიალური მდგომარეობა გიუმჯობესდებათ, მაგრამ არ მოდუნდეთ. ისწავლეთ და იშრომეთ შეუპოვრად. **ლომი** – ახალშეძენილი თანამოაზრეები მიზნის მიღწევაში გეხმარებიან. მთავარია დისციპლინა და ორგანიზებულობა. **ქალწული** – ჩანაფიქრს ნურავის გაუმხელთ, თორემ საქმე ჩაგეშლებათ. ახალგაცნობილი ადამიანებისგან თავი შორს დაიჭირეთ. **სასწორი** – კრიტიკული დღეა. ნებისმიერ სიტუაციაში წინდახედულობა გმართებთ. **ღრიანკალი** – რეალობას ნუ მოსწყდებით და ილუზიებს ნუ აჰყვებით. პროფესიული კუთხით მცირე პრობლემები იჩენს თავს. **მშვილდოსანი** – სისუსტეს ნუ გამოიჩენთ. საკუთარი პრინციპები დაიცავით. შეცდომის დაშვებისგან თავი მაქსიმალურად დაიზღვიეთ. **თხის რქა** – ახალგაცნობილი ადამიანები გარკვეულ უსიამოვნებას შეგიქმნიან. ყურადღებას ნუ მოადუნებთ. **მერწყული** – პასიური დღეა. საღამოს სასიამოვნო სიახლეებისათვის მოემზადეთ. **თევზები** – სურვილი გისრულდებათ. იაქტიურეთ. საღამოს დაისვენეთ მყუდრო გარემოში.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი



**შვეულად**: 1. გამომწვარი თაბაშირი; 2. ძლიერმოქმედი ნარკოტიკი; 3. მხარე ავსტრიაში; 4. მინერალი, ნახევრად ძვირფასი ქვა; 5. ამერიკელთა მეტსახელი ლათინურ ამერიკაში; 11. აზერბაიჯანული ნავთობკომპანია; 12. გრძელბეწვიანი მონადირე ძაღლის ჯიში; 14. სპირტიანი სასმელების მწარმოებელი ქართული ფირმა; 16. რძის შაქარი; 17. ირანელი ჯარისკაცი; 19. გერმანელი მიკრობიოლოგი, რომელსაც პირველს მიენიჭა ნობელის პრემია მედიცინის დარგში; 21. ქიმიური ელემენტი, მწვავე სუნის მქონე რუხი-მოწითალო ფერის სითხე; 22. ავი, ანჩხლი დედაკაცი.

**თარაზულად**: 6. ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 7. წრის ნაწილი, რომელიც შემოსაზღვრულია რკალითა და ორი რადიუსით; 8. ამერიკელ მწერალ სამუელ კლემენსის ლიტერატურული ფსევდონიმი; 9. თურქული აბანო; 10. საბაჟო-გამშვები პუნქტი სტეფანწმინდის რაიონში; 11. ნორვეგიელი კომპოზიტორი; 15. შავყურძნოვანი ვაზის ქართული ჯიში; 18. ერთუჯრედიანი მიკროსკოპიული ორგანიზმი; 20. ქართული ლუდი; 21. ცხვრის ბეწვიანი ტყავისგან შეკერილი ქუდი; 23. ორკორპუსიანი გემი; 24. სამონასტრო კომპლექსი ადიგენის რაიონში.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*